„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! — მძინარიც ამას ვდუდუნებ" — ვაჟა

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2016 წ. მაისი * №49 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



კვეტერა, XI ს.



დროა, კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, კოლხური კოშკიდან მთაწმინდაზე გადავასვენოთ!

გვ. 6

„ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია" – საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

გვ. 7,9

„ნაციონალების" უკანასკნელი გაბრძოლება

ლეილა ცომაია

ლიდერობის მანიაკალურ სურვილს თუ პირველკაცობის ამბიციას ახალგაზრდა „ნაციონალი" გიორგი ვაშაძე ვერასოდეს მალავდა და ამ ჟინით თვით მიხეილ სააკაშვილის გვერდითაც კი იყო აჟიტირებული, განსაკუთრებით მიტინგებზე გამოსვლების დროს; იგი აშკარად ცდილობდა მანერებით, ჟესტიკულაციებით, ხმის ტემბრითაც მიებაძა და გადაეჭარბებინა კიდეც თავისი ლიდერისთვის; გიორგი ვაშაძემ სერიოზული სკოლა გაიარა მიხეილ სააკაშვილთან და ამ რესურსით აპირებს კიდეც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ლიდერად ბრძოლას. არ არის გამორიცხული 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან პრეზიდენტობის კანდიდატადაც წამოაყენოს თავი. იგი დამანგრეველი ძალის ენერგიული, ახალგაზრდა პოლიტიკოსია, რომლის გამომეტყველებაზე არ კრთის სიკეთის ერთი ნერვიც კი, არამედ მხოლოდ სიავე სრბის! იგი შიზოიდური ტიპია, რომლის პოლიტიკური ვნებანი აშკარად მოუთოკავია და ყველაფრის ფასად შეუძლია მიაღწიოს საწადელს, თუ რა თქმა უნდა მან საჭირო მასის აყოლიება-დაჰიპნოზება შეძლო.

უკრაინის პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე მიხეილ სააკაშვილი სრულიად ლოიალური აღმოჩნდა, როგორც ვაშაძის, ასევე (უფრო ადრე) ზურაბ ჯაფარიძე-პავლე კუბლაშვილი-გოგა ხაჩიძეთა ე.წ. განდგომის მიმართ, რომლებმაც „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი" დაირქვეს, ხოლო ვაშაძემ კი „ახალი თაობა". სააკაშვილის ამგვარი რეაქცია ახსნადია და მასზე ცოტა უფრო ქვემოთ დავწერთ.

ვაშაძემ, როგორც დაუცხრომელმა ლიდერმა, ნაციონალებიდან გამოყოფაზე განცხადების გაკეთებიდან მალევე (9 მაისს) პოლიტიკური მასკარადის მოწყობაც მოასწრო პარლამენტის წინ სრულიად გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდების შეკრებით; იმდენად გაუთვითცნობიერებელი, რომ ოცამდე ჩვენს მიერ გამოკითხულ ახალგაზრდათაგან ვერავინ დაგვისახელა რა შეკრებაზე იყვნენ მოსული, ვინ იყო მათი

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ლიდერი და რა მიზნები გააჩნდათ. „გვითხრეს აქ მოდითო და ჩვენც მოვედით“ დაბნეული გვპასუხობდნენ ისინი, ხოლო თუ ვინ იყო ის ინკოგნიტო მბრძანებელი, არავინ გასცა. თითოეულ ახალგაზრდას მხოლოდ ანკეტები და ავტოკალმები ედო მაგიდებზე და მათ ანკეტის დამოუკიდებლად შევსებაც უჭირდათ.

ახალი თაობის, როგორც ახალი სახეების წინ წამოწევის აუცილებლობის წინაშე დადგნენ თვით ძირითადი ბირთვი „ნაციონალებისაც“, რომლებსაც ავტორიტეტულობისა და ნდობის ვოტუმი ხალხში სრულად აქვთ ამოწურული და ახლა ამ ფანდით ლამობენ პოლიტიკურ რეანიმაციას.

განახლება და ახალი სისხლის გადასხმა ყოველგვარ საქმეში სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ თვისობრივი გარდაქმნა სხვაა და ვეჭვობთ რომ მხოლოდ ამ მანიპულაციით აიმაღლოს რომელიმე ძალამ რეიტინგი. ახალგაზრდების თუ ახალი თაობის — „გაუსვრელობის“ მოტივით — შირმად ქცევამ რა პოლიტიკური დივიდენდები უნდა მოუტანოს ახლანდელ თუ ყოფილ ნაციონალებს, რომლებიც ყელამდე გასვრილნი არიან კორუფციასა და სისხლში, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის, ეროვნულ-კულტურული ტრადიციების ფეხქვეშ გათელვაში, ადამიანთა ცხოვრების დონის, ეკონომიკის დაცემაში და ა.შ.

როგორ გახდნენ მილიონერები, სააკაშვილი, კეზერაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, კოდუები, ახალაიები და მთელი მათი კლანი ამ ღატაკ-მშიერთა ქვეყანაში? და რით უნდა გააკეთილშობილოს „ახალმა სახეებმა“ ეს ფსევდო-ნაციონალი მგლები, ეს ენერგიულ მოლაყბეთა ხროვა?

სააკაშვილის ლოიალიზმი, სეგმენტებად დაშლილი საკუთარი პარტიის და მის ბაზაზე ახალაღმოცენებული ლიდერების მიმართ, სრულიად ბუნებრივია; თუ რომელიმე ძალა, რაღაც მაქმანებით მოხვდება პარლამენტში, მას ოთხი წლით კიდევ გაუხანგრძლივდება საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ყოფნა და საკუთარი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მას კვლავ წარმოაჩენს ამ ძალის(ძალების) მთავარ ლიდერად.

აწუკვე „ახალი თაობის“ ერთპიროვნული ლიდერი ვაშაძე კი მხოლოდ დავით ბაქრაძეს ესხმის თავს და სააკაშვილს ძლიერ, ერთპიროვნულ პოლიტიკოსად აღიარებს. უნდა ითქვას, რომ ბაქრაძე ნამდვილად ვერ იქცა და ვერ ჩამოყალიბდა, თუნდაც მეტ-ნაკლებად მისაღებ ფიგურად, მას საამისოდ არ ეყო ფიზიკური რესურსი.

ბაქრაძის ფავორიტობა, პარტიის შიგნით უკეთესი რესურსის ფონზე (სერგო რატიანი, გიორგი კანდელაკი და სხვა) სააკაშვილის შეცდომაა, რომელიც მან ვერ გათვალა ... ანალოგიურად დიდი შეცდომაა სააკაშვილისა, ლეიბორისტების ლიდერის, შალვა ნათელაშვილისთვის საკმაოდ მსხვილი ფულის ხარჯვა მისი ლაყბობის ნაციონალების წისქვილზე დასასხმელად. მიხვდება კი სააკაშვილი, რომ ნათელაშვილი მის წისქვილზე ცივ-მაცოცხლებელ წყალს კი არ ასხამს, არამედ ცხელს, რითაც მხოლოდ ნათელაშვილი სულდგმულობს.

გიორგი ვაშაძის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერის პარლამენტში, თუნდაც მიზერული უმცირესობით შესვლა არ უნდა დაუშვას ერმა; ერი ამ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით მაინც სრულად უნდა გათავისუფლდეს „ნაციონალების“ სინდრომისაგან. თავად ისინი ხომ ვერასოდეს მიხვდებიან საკუთარი ნებით წასვლას, ან თუნდაც ოთხი წლით მაინც პოლიტიკური ტაიმ-აუტის აღებას? ამიტომ, გონიერმა ამომრჩეველმა უნდა დაასვენოს ერი და დაასვენოს ისინიც, რათა მათ ცივი გულით და ცივი გონებით შეძლონ საკუთარი ნამოღვაწარის შეფასება და განსაჯა.

„ნაციონალების“ მონოლითურობის რღვევა კი დროის მოთხოვნა იყო და ამ სავსებით ბუნებრივი პროცესის ხელოვნურად შეკავება თვით სააკაშვილსაც არ ძლუძდა; საკაშვილს, რომლის ავტორიტეტს და ძალმოსილებას ურყევად აღიარებენ და ინარჩუნებენ პარტიიდან განდგომილი „უძღები შვილნიც“.

თავად სააკაშვილი, თავისი პოლიტიკური მამის - ე. შევარდნაძის მსგავსად, ღრმა სიბერემდე, ანუ დაუძლურებამდე არ განერიდება ხელისუფლებას (პოლიტიკურ კარიერას) და მით საკუთარი ნებით არ დაუშვებს პოლიტიკურ კვდომას. მას საამისოდ შევარდნაძეზე მეტი საჭირო რესურსი გააჩნია. საამისოდ მას არ სჭირდება, თუნდაც ახალი თანაგუნდელების ძიება; თანაგუნდელები თავად გაჩნდებიან (აღმოცენდებიან) მის გვერდით, ირგვლივ - მას საამისო ქარიზმა ნამდვილად აქვს და ვერაფრით წაერთმევა იგი. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა პოლიტიკური სიბეცე ან უბრალოდ დიდი შეცდომა იქნება ნებისმიერი ხელისუფლების მხრიდან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი წინსვლის და განვითარების რომელიღაც ეტაპზე სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია, რომ გაჩნდეს ბუნებრივი მოთხოვნილება სააკაშვილის ტიპის პოლიტიკური ლიდერის ყოლის და არჩევანი გაკეთდეს მასზე. დღეს კი „ნაციონალების“ ნარჩენებს, გარდა ძალადობის და დესტაბილიზაციისა, არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ ხელისუფლებაში რეანიმაციისა და ამას ისინი უნდა მიხვდნენ და ნებაყობლობით თქვან უარი ყოველგვარ არჩევნებზე.

„ნაციონალების“ საარჩევნო სიის პირველი ათეულის დასახელებამ ცხადყო მათ შიგნით არსებული საკადრო კრიზისი, რითაც ისინი არაფრით აღმატებულნი არ არიან „ოცნების“ საარჩევნო კანდიდატებზე. აი ასე გამოიყურება „ნაციონალების განახლებული(?!)“ პირველი ათეული:1. დავით ბაქრაძე, 2. ელენე ხოშტარია, 3. რომან გოცირიძე, 4. ნიკა მელია, 5. გიორგი ტუღუში, 6. ოთო კახიძე, 7. სალომე სამადაშვილი, 8. ირაკლი აბესაძე, 9. სერგი კაპანაძე, 10. სერგო რატიანი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ დავით ბაქრაძე ვერ იქცა ლიდერად და საარჩევნო სიის სათავეში მისი მოქცევა ვერავითარ დივიდენდს ან რეიტინგს ვერ შესძენს „ნაციონალებს“ და ვერცთუ, სხვა დანარჩენი ძველი სახეები. რომან გოცირიძის ფულადი მიმოქცევის „ნაციონალების“ ექსპერტად ქცევა საგულისხმოს ხდიდა მის ფავორიტობას. ნიკა მელია კი, ჯერ კიდევ გუშინ, ვაშაძის პარტიიდან გასვლასთან დაკავშირებით ირწმუნებოდა, რომ თავად იგი, არამც და არამც არ იქნებოდა საარჩევნო სიის ათეულში და მზად იყო საერთოდაც არ ყოფილიყო სიაში ახალი სახეების - ახალგაზრდების სანაცვლოდ. „ახალ სახედ“ კი ნაციონალებთან ასოცირებული ე.წ. სამოქალაქო სექტორის აქტივისტი ოთო კახიძე წარმოადგინეს მხოლოდ.

წარმატებაზე მეტ-ნაკლებად ორიენტირებულ ორივე პოლიტიკურ ძალას (უმრავლესობას და უმცირესობასაც), რადიკალური განახლება უნდა მოეხდინა საკუთარი კანდიდატებისა. თუ „ოცნებას“ საკუთარი სახელისუფლო რესურსის იმედი აქვს არჩევნებში, ხოლო „ნაციონალებს“ - კვლავ დასავლეთის მხარდაჭერისა, ეგ უკვე დღეს სუსტი ნათების ილუზიაა და გონებაში უნდა ჩავიბეჭდოთ, რომ არჩევნების ტოტალური გაყალბებაც ვეღარ მოხდება!

ერთხელ დავწერე სენტიმენტალიზმით ეროვნულ-პატრიოტი ჩემი მეგობრების მიმართ, რომლებიც სააკაშვილის, ლამის „ფანებად“ იქცნენ და ხელისუფლებაში მისი ყოფნის 20 წლიანი (1995 წლიდან) პერიოდის მიუხედავად, არა და არ ეთმობათ იგი. ნუთუ, ასე დევალვირდა ჩემი მეგობრების ცნობიერებაში ისტორიულ-კულტურული-ტრადიციული და იდეური ფასეულობები, რომლის ფესვებიანად თხრა და რღვევა, სწორედ სააკაშვილის მოქკავშირულ-ნაციონალურმა გუნდმა დაიწყო და დღემდე გვლეკავს და გვშლის ეს ფორსირებული პროცესი? ღმერთმანი მიკვირს და მტკივა ჩემი ძვირფასი მეგობრების ამგვარი ტრანსფორმაცია, რომლებიც პოლარულად დაშორდნენ იპოსტასურ არსს, რასაც ისინი სააკაშვილის დასავლური ორიენტაციით ხსნიან.

და ვინღაა დღეს, XXI-ე საუკუნეში, ისეთი სერიოზული პოლიტიკური ძალა დრომოჭმული რუსული ორიენტაციისა, რომ ამ რეტროგრადთა შიშით სააკაშვილს ვებღაუჭებოდეთ?

სააკაშვილს, რომლის ტირანია და ბრძოლა მასმედიის წინააღმდეგ, შეიარაღებული იერიშით დაწყებული, ზონდერ- „ჟურნალისტების“ რაზმის შექმნით, დიქტატურის აპოგეა იყო.

გახდება თუ არა, 8 ოქტომბერი, ამ ფსევდო-ნაციონალების უკანასკნელი გაბრძოლება კვლავ ხელისუფლების სათავეში მოსაქცევად, მალე გვეუწყება. დიდი ალბათობით, ეს არჩევნები, „ნაციონალური“ რეჟიმის საბოლოო დასასრულის მესაყვირედ უნდა იქცეს!

სახვითი ხელოვნების მშენებარე მუზეუმი რუსთაველზე

პარლამენტის წინ, ყოფილი მხატვრის სახლის (რომელიც განადგურდა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს 1992 წელს) ტერიტორიაზე, რუსთაველის შვიდ ნომერში, 2013 წლიდან მიმდინარეობს მშენებლობა სახვითი ხელოვნების მუზეუმისა, რომელსაც შევარდნაძის სიძის, ჯოხთაბერიძის დაკვეთით, აშენებს ერთ-ერთი გერმანული ფირმა. მშენებარე 5-სართულიანი სახლის წინა-ცენტრალური ნაწილი იქნება მუზეუმის, ხოლო უკანა ნაწილის ორი სექტორი გათვალისწინებულია სასტუმროსა და გასართობი ცენტრისთვის. გასართობი ცენტრის ფასადი კი შენდება მძიმე, რამდენიმე ტონიანი მასიური რკინების კონსტრუქციით, რომელიც თითქმის ფარავს და შემაძრწუნებლად დაკიდულია მთელ ფასადზე.

გარდა იმისა, რომ ეს კონსტრუქცია ესთეტური თვალსაზრისით პირქუშ და მახინჯ გარემოს ქმნის, რამდენიმე ათწლეულში იგი საფრთხეს შეუქმნის სახლის მდგრადობასაც, რის პროვოცირებასაც მუსიკის ხანგრძლივი ვიბრაციაც მოახდენს.

საკვირველია, რა ნიშნით დამკვიდრდა ჩვენში უცხოელი არქიტექტორების უპირატესი უფლებები და რატომ ხდება სრული იგნორირება ქართველი არქიტექტორებისა?

თავად მუზეუმის ფასადიც კი ვერ ჯდება რუსთაველის პროსპექტის ტრადიციულ სტილში და ვერც თანამედროვეობის სტილითაც დაიკვეხნის, მაგრამ ის რაც უკანა ფასადზე შენდება, სრული სიმახინჯეა! მაგრამ ყოფილი იმელის შენობის უკან 30 სართულიანი შუშის გრეხილი სასტუმროს მშენებლობის მრავალჯერადმა პროტესტებმა რა შედეგი მოგვცა, რომ მუზეუმის პროექტის სამჯერადი გაპროტესტებით მიგვეღო? დედაქალაქის მერია აბსოლუტურად ყრუა ამგვარი პროტესტების მიმართ და გამალებით განაგრძობს მშენებლობებს უცხოელების დაპროექტებით, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში სრული თავისუფლება ეძლევათ(რედ.).

ქართველი HOMO SOVIETIKUSI

ვინ არის იგი HOMO SOVIETIKUSI, ანუ „გონიერი საბჭოელი“, ეს სინონიმი მიიღო მთელ ცივილიზირებულ სამყაროში მართლაცდა მიჩურინის ვაშლივით გამოყვანილმა ახალმა ნამყენმა ჯიშმა ადამიანისამ; ის გახლავთ გონირიზებული ზომბი, რომელსაც „გონიერი ადამიანის“ (HOMO SOVIETIKUSI) თითქოსდა ყველა თვისება გააჩნია, მაგრამ ყოველივეს ჭვრეტს წინასწარ „დამტკიცებული“ კლიშეებით, რომლისგანაც გადაცდომა, ან ალტერნატიულად გააზრება მას ვით ძალუძს...

დაახლოებით ასეთი ადამიანის გამოყვანას (რომელსაც შემდგომ რუსეთელს დაარქმევენ) ცარისტული რუსეთიც ცდილობდა, რადგანაც კარგად ესმოდა სხვაგვარად გველივით ჭრელი იმპერიის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ მან ძირითადი აქცენტი ელიტარულ ინტილიგენციაზე აიღო და ერთგვარად მიაღწია კიდეც მიზანს (გაიხსენეთ თუნდაც დიდი დავით გურამიშვილის სრული სეხნია, ვინმე – დავით გურამიშვილი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მოითხოვდა ერთგულების ნიშნად მთელი ქართველი ერი მსხვერპლად შესწირვოდა რუსეთის იმპერატორს), მაგრამ აშკარად ეს არ იყო სრული გარანტია სხვა ეროვნებიდან ახალი ჯიშის - რუსეთუმეს შექმნისთვის. ეს გაითვალისწინეს ბოლშევიკებმა და აქცენტი ხალხთა ფართო მასებზე აიღეს, რომელთა ტვინის გამორეცხვა უფრო ადვილი გამოდგა; კოლონიზატორთა აღზრდილი ინტილიგენცია, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მოღალატური ბუნებით, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ითვლებოდნენ სანდო „კლასად“ (მათ კარგად ესმოდათ ამ „ელიტარულების“ მოღალატური არსთა–არსი). ახალი კონგლომერაცია „გონიერი საბჭოელი“ კი იდეაში სრულიად შესაფერისი უნდა ყოფილიყო მათი მახინჯ საზოგადოებრივი წყობილებისთვის.

და დაიწყეს! უპირველეს საშუალებად კი, ძალადობასთან ერთად, პროპაგანდის მაჰიპნოზირებელი ძალა გამოიყენეს. არ განვავრცობ, რადგანაც პროპაგანდის მრავალ ფილიგრანულ ხერხს ფლობდნენ ბოლშევიკები (ამაში მათ, მათი ნაირსახეობა ფაშისტებიც კი ვერ გაუტოლდნენ), არამედ ყურადღებას გავამახვილებ მაჰიპნოზირებელი პროპაგანდის მაშინდელ უძლიერეს საშუალება – **კინოზე**. კინომატოგრაფიის მაგიურ ძალას ალღო ლენინმა მაშინვე აუღო და მთელი ძალები მისკენ მიმართა, მაგრამ როცა „დიდი მუნჯი“ ალაპარაკდა, აშკარად გამოჩნდა, რომ მისი შესაძლებლობანი ახალი „ნამყენის“ გამოყვანაზე ლამის განუსაზღვრელი გახლდათ. თავიდანვე უნდა ითქვას ქართული საბჭოთა ფილმების უმრავლესობა დრამატურგიულად გამართული და რეჟისორულად თითქმის უნაკლოა, რომ არა მისი იდეოლოგიური რაკუსი. მუსიკალურად კი ისე იყო გაფორმებული, რომ გამოსვლის დღიდან მის მუსიკას ლამის მთელი საქართველო ღიღინებდა და აკონპანიმენტს აძლევდა. ხოლო უნიკალური მსახიობები განუმეორებელ ხიბლს ძენდნენ ამ პროდუქციას.

ეფექტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ცოცხალი მაგლითისთვის დავიწყოთ ფილმ „დარიკოთი“ – როგორი სანახავი იყო მთელი ქართული ინტილიგენცია, ქალი თუ კაცი, ნიფხვის ამარა, გაშიშვლებული, შიშის კანკალით რომ მოუყვებოდა გაფირალებულ „დარიკოს“, თანაც მისამღერი რეფრენით – „დარიკო ვარ გლეხის ქალი, სიმონაა ჩემი ქმარი“. უყურებდა ამას აღტაცებისგან თვალგადმოკარკლული გლეხი და სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა. აი თურმე ვინ ყოფილა ქართველი ინტილიგენცია და რომ არა საბჭოთა ხელისუფლება და მისი ნაყოფი „დარიკო“, ამ უნიფხვოების მონები უნდა ვყოფილიყავით. ფიქრობდა იგი და ვერც კი ამჩნევდა, რომ მასში პირველი სტერეოტიპი ამოითესლა. იგივე შეიძლება ითქვას ფილმ – „არსენაზე“.

ბოლშევიკები მიხვდნენ, რომ მთა და მთის ამაყნი შვილნი მათი განუსაზღვრელი ტირანიის ხელისშემშლელნი იქნებოდნენ და დაიწყო პროპგანდა მთიდან ხალხის ჩამოსახლებაზე, აქაოდა იქ რთული საცხოვრებელი პირობებია და ბარში კომფორტს ვაზიაროთო. გაიხსენეთ ყველასათვის საყვარელი ფილმები – „საბუდარელი ჭაბუკი“ და „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. ის კი არა და აბსურდამდე მივიდნენ, რომ მსოფლიოში ფოლადის პირველ ჩამომსხმელ ხალხთა ჩამომავალ, ვეფხია ხალიბაურს, ფოლადის ჩემოსხმას რუსი ივანა ურალში ასწავლის. ცინიზმიც ამას კი ჰქვია, მაგრამ ისე ოსტატურად იყო ყოველივე შემოთავაზებული, რომ ხალხი ამ აბსურდს იჯერებდა.

ხდებოდა ისტორიული მოვლენების საბჭოთა პრიზმით დაჩეხვა–ფალსიფიცირება, რათა შეცვლილიყო ისედაც დამახინჯებული ერის ეთნოფსიქოლოგია და მენტალიტეტი. იღებდნენ ვითომდა პატრიოტულ ფილმს „გიორგი სააკაძეს“ და ამ ფილმის საკვანძო მომენტში – მარტყოფის ბრძოლაში, ომში მიმავალი ქართველი თავს რუსად წარმოაჩენს და „რუსი მოდის“ ძახილით უტევს მტერს. რა გამოდის? გამოდის რუსის ძლევამოსილება. არაქართველებს კი ბრძოლის ხეირიანად გამართვაც არ ძალუძდათ და „რა დროზე გამოჩნდა ის დალოცვილი რუსი“, რომელმაც თავის სისხლის ფასად შეიფარა და გადაარჩინა საქართველო.

ჰაი დედასა, ცხრა ძმა ხერხეულიძევ, სამასო არაგველნო, დიდგორის გმირნო, რა დღე გაგითენდა, რას გაჯერებენ, როგორ გამცირებენ, შენ კი გამოთაყვანებული ამას ვეღარცა გრძნობ და თვითკმაყოფილი ღიმილით ტკბილად შეჰყურებ ეკრანს – მიზანი მიღწეულია. ქართველთ არასრულფასოვნების კომპლექსი ტერფამდე უჯდებათ. ამას მიუმატეთ ფილმები „წიგნი ფიცისა“, „რაიკომის მდივანი“, „ნერგები“... და ხელში გრჩებათ ქართველად წოდებული საბჭოელი, რომლისგანაც საჭირო რუსეთუმი უკვე ყალიბში ირანდება!

ფასეულობებიც უნდა გადაგვარებულიყო. აიღეთ თუნდაც თითქოსდა არაიდეოლოგიზირებული ფილმი „აბეზარა“, შესანიშნავი კინოკომედია, მაგრამ როგორ ეშმაკურად არის შეპარული არქიტექტურის ფასეულობათა ნიველირება – ყველაფერი ერთნაირი და ნაცრისფერი, აი დევიზი, რომლითაც უნდა ეცხოვრა საბჭოელს. მას ორი სამშობლო უნდა ყვარებოდა, ერთი თავისი კუთხე, მეორე კი დიდი საბჭოთა კავშირი, საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე კი ხმა-კრინტი და აქაც ხდებოდა ცნობიერების გაორება. ვითომდა „მოღალატე“ ორჯონიკიძეს აგინებდნენ, მერე შემობრუნდებოდნენ და გაჯგიმულნი ისმენდნენ დიდი საბჭოეთის ჰიმნს, სადაც ქუხდა სიტყვები – „დიდმა რუსმა თავის კალთაში გააერთიანა საბჭოთა ხალხიო“. ეს კი ისეთი საწამლავი აღმოჩნდა, რომლისგანაც დღესაც ვერ დაუღწევია ბევრ რიგით ქართველს თავი, თორემ რუსეთუმეებზე არაფერს ვამბობ; მათ ახლაც მიაჩნიათ რომ 1941 წლის 22 ივნისს ქართველთათვის დიდი სამამულო ომი დაიწყო, თუმცაღა არც იმას უარყოფენ რომ ერთი სამამულო ომი 1921 წელს კოჯორთან უკვე გადავიტანეთ და დავმარცხდით, მაგრამ გაორებული ცნობიერების მქონე ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ურთიერთგამომრიცხავ მოვლენას ანალიზს ვერ უკეთებს და როცა გინდა აუხსნა 1941 წლის „სამამულო ომი“ ქართველისთვის იგივე მოვლენა გახლდათ, რაც შაჰ აბასის მიერ წარმოებული თურქეთთან ომი, დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოდან იძულებით გაწვეულთა მონაწილეობით, რომლის იქეთა მხარესაც ასევე ქართველები იბრძოდნენ, ოღონდ იქეთა დასავლეთ საქართველოს ქართველები და ამ ორივე მხარეს მდგომ ქართველებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ისინი სამამულო ომში მონაწილეობდნენ, თანაც ორივე მხარე (რუსეთისა არ იყოს), პატარა ძმას გვეძახდა, თუმცაღა ორივე მათგანი ისეთივე დამპყრობი გახლდათ, როგორც რუსეთი საქართველოსი.

ხომ ალოგიკურია სხვაგვარად ფიქრი, მაგრამ ამას რომ ეტყვი გარუსეთუმებულ ქართველს, ლამის არის თავი გაიგიჟოს და ალბათ ზუსტად ასე მსჯელობდნენ სპარსოფილი და თურქოფილი მაშინდელი კოლაბორაციონისტების სამსახურში ჩამდგარი ქართველნიც. ესაა მწარე სიმართლე და ყოველივე იმ პროპაგანდისა და ცალმხრივად „განათლებულობის“ შედეგი. ის კი არადა „დათა თუთაშხიაც“, ამ დიდებულ ფილმში, ბოლოს ხვდები, რომ მთელი შვიდი სერია იმისთვის დაიდგა, რომ ბოლოში პირველ სერიაში დაწყებული დათა თუთაშხიას ბოლშევიკურ–კომუნისტური გადახრა, რომ იტყვიან „გაეპრავებინათ“. დიახ ასეა, ეს, როგორც თავად დათა ბატონი ბრძანებდა და არა აქვს აზრი კამათს.

პროპაგანდას თავისი გაჰქონდა. იღებდნენ ფილმებს „ჯურხაის ფარი“, სადაც დღევანდელი საქართველოს ჰიმნის მუსიკა და ტექსტითაა აჟღერებული (და ვერ გამიგია, რატომ იჩემებენ მის ავტორობას სხვანი), „ჯარისკაცის მამა“, „შეწყვეტილი სიმღერა“..., სადაც აჯერებდნენ ზომბირებულ, ტვინგამორეცხილ რიგით ქართველებს, რომ ეს ხალხი, ეს ჯარისკაცის მამა, მისი სამშობლოსთვის გაღებული მსხვერპლნი არიან და ამ სამშობლოს – დიდი საბჭოთა კავშირი ერქვა.

ზღვაში წვეთიც კი არაა ჩემი მოყვანილი მაგალითები, იმ კოლოსალურ ფსიქოთროპიულ ზეწოლასთან რასაც სამოცდაათ წელზე მეტ ხანს კრემლი აწარმოებდა ქართველთა (და სხვა ერთა) გასაბითურებლად, რათა უფრო „ხალისიანი“ გამხდარიყო ასიმილაცია და იდიალურად მოგჩვენებოდა ის პირუტყვული ყოფა, რაშიც „გონიერ საბჭოელს“ ამყოფებდნენ, ხოლო ამისთვის კი იქმნებოდა, ისეთი ფილმები, როგორებიც გახლდათ – „განაჩენი“, „ჭრიჭინა“, „უდიპლომო სასიძო“ და სხვა მრავალნი, რომელშიც აისახებოდა ის „ბედნიერი იდილია“ საბჭოთა ხალხს, რომ ხვდა წილად! თუმცაღა ეს სრულიად არ აკნინებს ქართველ გმირთა ღირსებას, რომლებიც სამწუხაროდ „მამლუქებივით“ სხვის დიდებას სწირავდნენ სიცოცხლეს, ეს ჩვენი ტრაგედიაა და როგორმე ჩვენვე უნდა გადავხარშოთ...

აი, ასე „იწრთობოდა“ ის თანამედროვე „რუსეთუმე–ქართული საბჭოელი“, რომელიც დღეს ამდენ პრობლემას უქმნის ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს და მთელი უბედურება იმაშია, რომ ვერავითარი ძალით ვერ დაარწმუნებ ამ „გონიერ“ ადამიანთა საბჭოთა მასას, რომ მათი ქმედებანი არამარტო მავნებლურია, არამედ მოღალატურიც. ის კი არა და როცა დაუმტკიცებ, რომ უკვე დაპყრობილს, დამპყრობლის წარმოებული ომი სხვა დამპყრობელთან, არ შეიძლება შენთვის, დაპყრობილისათვის, სამამულო ომი იყოს, რომ მისი თანამშრომლობა კოლაბორაციონისტებთან დანაშაულია ერის წინაშე, გაავებული ლამის არის ყელში გწვდეს „პატრიოტული ცეცხლით“ შეპყრობილი. ეს კი უკვე ჩვენს უბედურებას ტრაგედიად აქცევს და უსერიოზულესი პრობლემა ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებისთვის! და სულერთია რას უწოდებს იგი თავის თავს – „სტალინისტს“, „მოაზროვნე პრაგმატულ პოლიტიკოს“, თუ რუსეთთან მეგობრობის მომხრეს – რუსეთუმე, რუსეთუმეა და იგი ისეთივე (თუ მეტი არა) საშიში მოვლენაა, როგორც ერესი რელიგიისთვის და იგი სულთმებრძოლი რუსეთის იმპერიისთვის, ისეთივე საყრდენი ძალაა, ვითარცა პილატე და იუდა გახლდნენ რომის იმპერიისთვის!

ამიტომაც მოგიწოდებთ ყველა ნორმალურად მოაზროვნე პატრიოტს სიფხიზლისაკენ, მტრის პროპაგანდისტულ მანქანას ახლა უფრო მეტი საშუალებანი გააჩნია ზეგავლენისა და იგი უყოყმანოდ იყენებს და გამოიყენებს, რათა დაამხოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

ვიმეორებ – ჩემს მიერ მოყვანილი მაგალითნი ზღვაში წვეთიც არაა, იმისა რასაც ბოროტების იმპერია ჩადიოდა და შეეცდება ჩაიდინოს კვლავაც!

ფხიზლად საქართველოვ – ფხიზლად!

ნოდარ კობერიძე
ილია ჭავჭავაძის,
ნიკო ნიკოლაძის,
ნიკო ლორთქიფანიძის
პრემიების ლაურეატი

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დღეა!

დისიდენტი მერაბ კოსტავა

ჩვენთვის, XX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა, პირველ რიგში, ასოცირდება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელებთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღვაწლის გახსენებასთან ერთად საყურადღებოა ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლის, თანაგუნდელის, სიყრმის მეგობრის, მერაბ კოსტავას მოღვაწეობაზე საუბარი.

მერაბ კოსტავა იყო პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს თავისუფლების იდეის გამარჯვებას შესწირა. იგი დაუღალავად ცდილობდა თანამემამულეებში გამოეღვიძებინა ქართული თვითშეგნება და რაინდული სული, რათა ერთიანი ძალებით ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. ამ ღირსეული მამულიშვილის ნებისმიერი ნაბიჯი განპირობებული იყო ეროვნული მოტივებით და გააზრებულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე იყო დამყარებული. იგი იბრძოდა სარწმუნოების, კულტურის, სახელმწიფოებრიობის არსებობისთვის.

ღრმა პატივისცემითა და დიდი მოკრძალებით, ვბედავთ ვისაუბროთ მერაბ კოსტავას დისიდენტურ მოღვაწეობაზე, აღვწეროთ როგორი შემართებით ცდილობდა თავისი ქვეყნის დახსნას იმპერიის მარწუხებისგან. მიუხედავად ბევრი ზეწოლისა თუ სირთულეებისა, სიკვიდილის ბოლომდე როგორ უერთგულა თავის იდეებს და უანდერძა შთამომავლობას დაუმორჩილებელი სულის ნათელი მაგალითი.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ. საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა რესპუბლიკაში და მათ შორის, ჩვენს სამშობლოშიც, მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. განსაკუთრებით კი, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ძლიერი ბიძგი მისცა ქართველი ერის ცნობიერებას. საქართველოს მოსახლეობამ ნათლად დაინახა თუ რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი და რა შედეგების მომტანი იყო მის შემადგენლობაში ყოფნა. ახალგაზრდებისა და სტუდენტთა ჯგუფებმა დაიწყეს ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. შეიქმნა არალეგალური ორგანიზაციები, მათ შორის, „გორგასლიანიც“, რომლის ფუძემდებლები გახლდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მათი მიზანი იყო ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოსახლეობის დარაზმვა და მთავარი, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ამ ორგანიზაციის წევრები ბეჭდავდნენ პროკლამაციებს, რომელთა შინაარსიც ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ს პოლიტიკურ ორიენტაციას. ყოველივე ამას კი მოჰყვა ის, რომ ორგანიზაციის წევრები დააკავეს, მაგრამ ხალხის დაჟინებული მოთხოვნით მალევე გაათავისუფლეს. ამჯერად, მერაბ კოსტავას დაპატიმრებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. გათავისუფლების შემდეგ თანამებრძოლებთან ერთად კვლავ სამშობლოს სამსახურში დგება და აგრძელებს მისიას, საქართველოს დამოუკიდებლობისკენ.

1975 წლის ივლის-აგვისტოში ჰელსინკში მიმდინარეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოების მესამე ეტაპის თათბირი. ევროპის 33 ქვეყნის, ამერიკის შეერთებულ შტატებისა და კანადის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს დასკვნით აქტს. ამ სახელმწიფოებს შორის იყო საბჭოთა კავშირიც. სოციალისტური ბანაკის მმართველებმაც მოაწერეს ხელი ამ დოკუმენტს, თუმცა ვერ გააანალიზეს რისი მომტანი შეიძლება ყოფილიყო ყოველივე ეს მათი რეჟიმისთვის. სსრკ-სთვის განსაკუთრებით არასასურველი იყო ის პრინციპი, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის ძირითად უფლებებს: აზრის, რელიგიის თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას.

1976 წელს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა საქართველოში ქმნიან „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს“, რომელსაც შემდგომში „ჰელსინკის კავშირი“ ეწოდა. ამან კი, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებას. ყოველივე ეს კი არ მოსწონდათ სოციალისტური ბანაკის ლიდერებს. მათ იმპერიალისტურ მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ დაიწესეს მუდმივი კონტროლი და ზეწოლა „ჰელსინკის კავშირის“ წევრებისადმი. რეპრესიები არ წყდებოდა. სუკ-ი გამუდმებით უთვალთვალებდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. მერაბ კოსტავას სახლთან გამუდმებით იდგა უშიშროების მანქანა და თვალს ადევნებდნენ მის ცხოვრებას. მერაბი უკვე ცნობდა კიდეც მათ. რამდენჯერმე ისიც უთქვამს, მთელი დღე აქ დგანან, მოშივდებოდათო და საჭმელი გაუგზავნია მათთვის.

1977 წლის 7 აპრილს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააპატიმრეს. მერაბი 1978 წელს გაასამართლეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ანტისაბჭოური იდელოგიის აგიტაციაში დასდეს ბრალი. ხოლო 1980 წელს გადაასახლეს ირკუტსკის ოლქში, ტაიშეტის რაიონის დაბა კვიტოკში. დროის ამ მოკლე, თუმცა საკმაოდ რთულ პერიოდში მერაბს თავის ბედზე ერთხელაც არ დაუჩივლია და გმირულად ხვდებოდა ყველა განსაცდელს. მართლაც, რომ რაინდული თვისებების მქონე პიროვნება გახლდათ და მისი ნებისმიერი ქმედება ყველა ქართველისთვის მისაბაძი უნდა იყოს. უსამართლოდ დაკავებისა და დიდი ზეწოლის მიუხედავად მერაბს ერთხელაც არ უღალატია ეროვნული იდეებისთვის და ბედის უკუღმართობას არ დანებებია. იგი ცდილობდა ეს დრო უშედეგოდ არ დაეკარგა. პირიქით, გარემო-პირობების მიუხედავად, ცხოვრების ეს უსამოვნო და უსამართლო მონაგები მან მეტად ნაყოფიერად გამოიყენა. შეიძლება იმის თქმაც, რომ მერაბ კოსტავა ციხეში უფრო ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ვიდრე გარეთ მყოფნი „ვაი ქართველები“, რომლებიც მაშინაც და ახლაც სამწუხაროდ უხვად ახვევია გარს საქართველოს. მან ციხეში დაწერა ბევრი ლექსი, მათ შორისაა: „ღირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“, ასევე, ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“. ეს ლექსი მერაბმა ზვიადს 1980 წელს პირადად გადასცა. გამსახურდია და კოსტავას ვაჟი ირაკლი ჩასულან მის მოსანახულებლად სოფელ კვიტოკში და სწორედ, მაშინ მიუცია ლექსის დედანი. შემოქმედებითობა და ლექსების წერა ალბათ, განპირობებული იყო მისი ჰეროიკულ-რომანტიკული ბუნებით.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ არსებულმა ვითარებამ, პირობებმა მას მაინც არ დაუკარგეს ოპტიმიზმი და ვერ ჩაუხშეს მებრძოლი სული, რაც შემდგომი სიტყვებით კარგად გამოიხატება: “ მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ციხის კედლებშიც კი თავსუფლად ვგრძნობ თავს“, ყოველივე ეს კი კარგად აჩენს მის ადამიანურ „მე“-ს.

მერაბ კოსტავა ციხეში ყოფნისას ძალიან ღელავდა თავის მოხუცებულ დედაზე და ხშირად წერდა წერილებს, სადაც აქეთ ამხნევებდა და ანუგეშებდა მას. ამონარიდი ერთ-ერთი წერილიდან: „ყველაზე მეტად შენ და შენი ჯამრთელობა მადარდებს... ჩემზე ნუ იდარდებ, ყველაზე ნაკლებად გასაჭირში მე ვიმყოფები. ჩემთვის ციხე გართობაა და ცხოვრების შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. კარს ნუ გაუღებ ამაო დარდებს. ერიდე მაგ ვერაგსა და არამკითხე სტუმარს, ვინძლო გული ჟანგივით არ ამოგიჭამოს“. ასეთი სახის წერილები ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რადგან შესანიშნავი წყაროა გავიგოთ მერაბის ფიქრებისა და საქმიანობის შესახებ. სწორედ დედასთვის მიწერილი ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ იგი თავისუფალი გადასახლების დროს, სოფელ კვიტოკის მუსიკალურ სკოლაში მუშაობდა. „როგორ ხარ, ჯამრთელად ხარ თუ არა ესაა მთავარი. მე ძველებურად ვარ ე.ი. სტამბულის კაჭივით. ვკითხულობ, ვმუშაობ, სასმელს ვერიდები. მუსიკალურ სკოლაში ნოემბრამდე უცადეს მასწავლებელს და არ ჩამოვიდა. შარშანდელი გაიქცა (ხშირად ასე მირბიან ხოლმე, მარტო მე ვერ მომაცვლევინეს ფეხი აქედან). ჰოდა ახლა ჩემი ჯერიც დადგა და მეორე მეოთხედიდან მუსიკალურ სკოლაში ვმუშაობ. არის 1,2,3,4 კლასები და შვიდწლედია. ვნახოთ როგორ წავა საქმე“.

მერაბს მამის მოვალეობაც არ ავიწყდებოდა და მიუხედავად მანძილისა, დიდაქტიკური შინაარსის წერილებსაც გზავნიდა ციხიდან. ადრესატნი კი თავისი შვილები, ხან ირაკლი, ხან თამთა გახლდათ. ოჯახი მისი ერთ-ერთი უპირველესი საფიქრალი იყო და ცდილობდა, მისი შვილები სწორად აღზრდილიყვნენ, სწორად გაეანალიზებინათ და შეეფასებინათ არსებული მდგომარეობა. ამის უკეთ დასანახად პატარა ამონარიდი ირაკლისამდი მიწერილი წერილიდან, „საკუთარ თავზე ბევრი იმუშავე, სრულყავი იგი ზნეობრივად, გონებრივად. საკუთარი ცოდნით ნუ გაყოჩაღდები, ნუ დასცინებ და ზემოდან ნუ დაუწყებ ცქერას შენზე დაბლა მდგომს, არაფრით არ აგრძნობინო შენი უპირატესობა. გარშემო მყოფებში დადებითი თვისებები ეძიე, ვიდრე უარყოფითი. ნურავის ბოღმას გულში ნუ ჩაიდებ“.

აღსანიშნავია, რომ ამ ყოველივეს წერდა ის კაცი, რომელიც ციხეში უსამართლოდ იჯდა, დაუმსახურებელ სასჯელს იხდიდა სადღაც მიყრუებულ და ღვთისგან მივიწყებულ ადგილას. მართლაც ნათლად ჩანს, რომ მერაბი წმინდა სულის უკეთილშობილესი ადამიანი იყო, რომელიც გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და სულგრძელობით. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად ცხოვრება სწორედ ასეთი ადამიანების მიმართაა დაუნდობელი და სასტიკი.

მერაბს, როდესაც სასჯელი უმთავრდებოდა პროვოკაციას პროვოკაციაზე უწყობდნენ, რათა როგორმე მოეხერხებინათ და გაეხანგრძლივებინათ სასჯელის ვადა. მერაბმა თვითონაც იცოდა და ამიტომ ცდილობდა პროვოკაციას არ აჰყოლოდა. მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებდა ზვიად გამსახურდიაც. ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ წერილიდან, რომელიც 1981 წელს მიუწერია მერაბისთვის. „აბა შენ იცი მერაბ, ძლიერ დაკვირვებით იყავი. საბას ნათქვამი გაიხსენე: „ფრთხილად იყავ შინაც იყვეო“. განსაკუთრებით გთხოვ, როდესაც ბოლო თვეები მოაწევს უკიდურესად ფრთხილად იყავი, სასმელი არ გაიკარო, ყველა წვრილმანი გაიაზრე, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი. მოგიკითხეს ჩემებმა. აბა შენ იცი, იყავი დაკვირვებით, თავს მოუარე. გთხოვ ყოველ დილა-საღამოს, განსაკუთრებით ბოლო თვეებში იკითხე ხმამაღლა 90-ე ფსალმუნი. ხომ იცი რა ჯავშანია! შენი ძმა ზვიადი“.

საბოლოოდ ვერც რჩევებმა და ვერც მერაბის წინდახედულობამ საქმეს ვერ უშველა. როგორც ჩანს, მეტად რთული და თითქმის შეუძლებელი იყო იმპერიის ჯურღმულებიდან თავის დაღწევა თუ ეს საბჭოთა კავშირის მმართველებს არ სურდათ.

ოთხი თვე ჰქონდა დარჩენილი და საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს, 5 წელი დაუმატეს და ციმბირში, ქ. ანგარსკში გაამწესეს. ყველაფერი ისე მოაწყვეს, რომ ნებისმიერი კაცი უძლური იქნებოდა მათ წინააღმდეგ. როგორც შემდგომში გამოირკვა, კარგად დაგეგმილი და გათვლილი იყო ყველაფერი. ამას ადასტურებს მერაბ კოსტავას გამოგზავნილი წერილი სახელწოდებით: „ქართველი ხალხისადმი და ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი“. გასამართლების შესახებ პროკურატურამ არ აცნობა მერაბ კოსტავას ახლო ნათესავებს. მერაბის მეუღ- →

ლე, დაპატირებიდან მე-3-4 დღეს ჩასულა ტაიშეტში. სამართალდამცველებს უთქვამთ, რომ მის ოჯახს შეატყობინებდნენ სასამართლოს დღეს, მაგრამ ტელეგრამა განგებ მცდარი მისამართით გაუგზავნიათ, რომელიც ცხადია ადრესატამდე არ მისულა. ბრალის დადება მომხდარა ყველანაირად უსამართლო გარემოში. იმისთვის, რომ ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს და მკითხველისთვის გასაგები გავხადოთ რას ვგულისხმობთ უსამართლო გარემოში, დეტალურად განვიხილოთ პროვოკაციის მოხდენის წინა პერიოდი.

იმ ხანებში მერაბ კოსტავას გაუგია, რომ სურთ პროვოკაცია მოეწყოთ მისთვის დაპატიმრების მიზნით, რათა ვერ მოეხერხებინა საქართველოში დაბრუნება. ასევე მის ყურამდე მისულა ის ფაქტი, რომ ერთ ქალს სთხოვდნენ გაუპატიურების მცდელობა დაებრალებინა მერაბ კოსტავასთვის. ცრუ მოწმეც უშოვეს თურმე, მაგრამ იმ ქალს ცივი უარი განუცხადებია. მალე პროვოკატორების მიგზავნა დაუწყეს, რომ ჩხუბზე გამოეწვიათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მერაბის გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან, ვიგებთ, რომ დაკავებამდე ორი დღით ადრე მილიციის ოფიცერი კლინგი ქუჩაში შეხვედრია მერაბს და უკითხავს მისთვის, თუ რატომ უგზავნიდნენ პროვოკატორებს, რაზეც კლინგს უპასუხია: „ოფიცერის პაგონები მაქვს დაკრული მხრებზე და თუ ზემოდან მიბრძანეს, სხვა გზა არ მექნება, უნდა შევასრულო ბრძანებაო. ჰოდა, ცოტა ხანში შეასრულა კიდეც.“

1981 წლის 17 ნოემბერს მუსიკალურ სკოლაში, სადაც მერაბი მუშაობდა მისულა მხატვარი ვინმე მირონენკო, სსრკ-ს წევრი და უთქვამს, რომ კვიტოკში მოავლინეს კულტურის ამბების გასაცნობად. პირველ დღეს მუსიკის ერთ-ერთ მასწავლებელთან შეკრებილან. ცოტა დაულევიათ და ბევრი უმუსაიფიათ. მეორე დღეს კი, მერაბს ეს მხატვარი თავისთან დაუპატიჟია. სუფრასთან ახალი დამსხდრები ყოფილან, როდესაც სამართალდამცველი კლინგი მისულა მათთან. მას მერაბის სტუმარ მხატვრისთვის საბუთები მოუთხოვია, თუმცა მირონენკოს არ უჩვენებია, მიუხედავად იმის, რომ ჯიბეში ჰქონია სამხატვრო აკადემიის მოწმობა. კლინგს უთქვამს სუფრაზე მყოფთათვის, რომ უნდა გაჰყოლოდნენ. აი, რას წერს თვითონ მერაბი ამასთან დაკავშირებით: „მილიციაში, რომ მივედით, რომელიც სოფლსაბჭოს შენობაში იმყოფებოდა, კლინგმა კიდევ ერთხელ მოსთხოვა პირადობის მოწმობა მირონენკოს და უარი რომ მიიღო, მოულოდნელად გაუშვა. ხოლო მე მთხოვა ერთი წუთით მომეცადა. ფაქტობრივად, არაფერი მითხრა გარდა იმისა, რომ დიდ უსიამოვნებას ვაყენებ ჩემი კვიტოკში ყოფნით და იმავწუთს მეც გამომიშვა. მილიციიდან ხუთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს, რომ ვიღაც გამოეყო და მითხრა „პაჩემუ ტი ლეზიშ ნა მოიუ ბაბუ“? მივხვდი რაშიც იყო საქმე, მინდოდა გავცლოდი, მაგრამ ამ დროს სოფსაბჭოს შენობიდან გამოვიდა კლინგი, მომვარდა, ხელი პალტოში ჩამჭიდა და ფეხებში ჩამივარდა, იმავდროს ორი წინასწარ ჩასაფრებული ცრუ მოწმეც გამოვიდა . კლინგი წამოხტა და მეუბნება: „თქვენ ჩაიდინეთ სისხლის სამართლის დანაშაული.“

შეუძლებელი იყო ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. კარგად ხედავთ, როგორი ადამიანების გარემოცვაში უწევდა მერაბს ყოფნა. ძალიან კარაგად თქვა სასამართლოზე, როდესაც მოსამართლემ განაჩენი გამოუტანა, „თქვენ ისე მექცევით როგორც სსრკ ექცევა საქართველოსო“. სამწუხაროდ, იმ ეტაპზე მერაბის შველა და მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი საჩივარზე იწერებოდა, შედეგი მაინც იგივე რჩებოდა. მერაბის უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდნენ ყველანი, ვისაც ის მთელი გულით უყვარდა და ვისაც არ შეეძლო უსამართლობაზე თვალის დახუჭვა.



აღსანიშნავია, რომ ტაიშეტის რნის, სოფელ კვიტოკის მასწავლებელმა, გ.ვ. პოპოვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედვარდ შევარდნაძეს მისწერა წერილი. იგი დაახლოებით იგივეს ყვებოდა, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და რაც მერაბ კოსტავას წერილში იყო აღწერილი. მცირე ეპიზოდი ამ წერილიდან: „პატ. ედვარდ შევარდნაძე, იმ უსაზღვრო სიყვარულის სახელით რომლითაც მ. კოსტავას უყვარს საქართველო, გთხოვთ დაეხმაროთ მას რითიც შეგიძლიათ. დააბრუნეთ საქართველოში, თუნდაც, როგორც პატიმარი. გამოგზავნეთ ვინმე დაპატიმრების გარემოებათა გამოსაკვლევად. მე დარწმუნებული ვარ, რომ კოსტავას არ ჩაუდენია ის, რაშიც ადანაშაულებენ“.

როგორც ჩანს, მერაბს იქაც საკმაოდ დიდ პატივს სცემდნენ და არცაა გასაკვირი, მისნაირი თვისებებისა და ღირსებების მქონე კაცი, განა შეიძლებოდა სადმე შეუმჩნეველი დარჩენილიყო?! სწორედ ამიტომაც სურდათ, სსრკ-ს წარმომადგენლებს, რომ ასეთი ეროვნული იდეების მქონე პიროვნება ციხეში ჰყოლოდათ. რა თქმა უნდა, ეშინოდათ მისი გარეთ ყოფნის, იცოდნენ რა გამჭრიახი გონების პატრონიც იყო და უფრთხოდნენ მის პატრიოტულ ენთუზიამს. ტყუილად კი არაა ნათქვამი „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

თხოვნას, მუდარას, ვედრებას არ იშურებდა არც მერაბის დედა, ქ-ნი ოლღა. „უმორჩილესად გთხოვთ ძვირფასო და პატივცემულო ედუარდ, ჩაერთოთ მერაბ კოსტავას საქმეში, როგორც პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, გაგვიწიოთ დახმარება, რათა აღდგენილი იქნეს კანონიერება და განთავისუფლდეს მერაბ კოსტავა ივანეს-ძე, რომელსაც ჯერ კიდევ 1981 წლის 17 მარტს ეკუთვნოდა განთავისუფლება“- წერდა იგი ედუარდ შევარდნაძეს.

მერაბის გათავისუფლებას დაუღალავად ცდილობდა ზვიად გამსახურდიაც. მან არა ერთხელ მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, დასავლურ საინფორმაციო სააგენტოებს, რათა მოეხდინათ რეაგირება ამ უსამართლობაზე. მას, როდესაც შეატყობინეს, რომ მერაბი შიმშილობდა, რადგან ახლობლების ნახვის უფლებას არ აძლევდნენ და ჯამრთელობის მდგომარეობა უკვე კატასტროფულად გაუარესებოდა, ზვიადს სასწრაფოდ უფრენია ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან, ფრანს პრესის მეშვეობით. შესაძლებლობა გვაქვს მოვიხმოთ ეს ტელეფონოგრამა: „საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანის, ჟორჟ მარშესადმი. ამას წინათ მსოფლიო საზოგადოების ჩარევამ იხსნა დისიდენტი ანატოლი შჩერანსკი. დღეს ანალოგიურ მდგომარეობაშია ქართველი დისიდენტი, ადამიანის უფლებათა დამცველი მერაბ კოსტავა, ჰელსინკის ხელშეკრულებისთვის ხელისშემწყობი ქართული ჯგუფის წევრი, რომელმაც შიმშილობა გამოაცხადა ა.წ. 9 მარტიდან ქ. ანგარსკის N15 კოლონიაში, ვინაიდან მას წაართვეს თავის ოჯახთან შეხვედრის უფლება. მას სხეული დაუსივდა, მისი ჯამრთელობა კატასტროფულ მდგომარეობაშია. მსურს შეგახსენოთ, რომ ამას წინათ თქვენ მოგმართათ აკადემიკოსმა ა. სახაროვმა და გთხოვათ გამოსულიყავით მ. კოსტავას დასაცავად. ამჯერად მოგმართავთ მე და გთხოვთ მიმართოთ საბჭოთა ხელისუფალთ, რათა მათ დართონ ნება მ. კოსტავას თავის ახლობლებთან შეხვედრისა“. ამის შემდეგ მარშე მიტერანს დაკავშირებია, მიტერანი ჯერაც ცოცხალ ანდროპოვს და ახმაურებულა პრესა. აყვირებულან რადიო სადგურები და მერაბისთვის მიუციათ ახლობლებთან შეხვედრის უფლება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მერაბ კოსტავას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ყველა და ცდილობდნენ მცირედით მაინც შეემსუბუქებინათ მისთვის ეს ტანჯვა, რომელიც გამოწვეული იყო არა ციხეში ყოფნით, არამედ ამდენი ხნით საქართველოსგან სიშორით. მერაბი ხომ გასაჭირს მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის გამო ითემნდა და უმკალვდებოდა. იმ იმედით, რომ ნახავდა დამოუკიდებელ საქართველოს. შეძლებდა ეცხოვრა სამართლიან და ერთიან საქართველოში. ამიტომ, მისი თავგანწირვა არასდროს უნდა დავივიწყოთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რამდენი დამცირება, ტკივილი და იმედგაცრუება გადაიტანა თვისტომთაგან შორს. რათა გავხსოვდეს რა დაგვიჯდა თავისუფალ საქართველოში ცხოვრება. ყოველთვის ისე უნდა შეგვეძლოს ვუერთგულოთ ეროვნულ იდეებს, როგორც მერაბ კოსტავამ მოახერხა ეს. მან განიცადა უდიდესი ზეწოლა, გაიღო უზარმაზარი მსხვერპლი იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რასაც დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია. მერაბმა გაიარა რთული, მძიმე, დამღლელი გზა. გზა ჭეშმარიტებისკენ.

ავტორები:

გიგი გივიშვილი

ელენე ჭირაქაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები

დრეოა, კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, კოლხური კოშკიდან მთაწმინდაზე გადავასვენოთ!

(15 მაისი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღეა!)

„მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა.

მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან.

არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი:

„შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“...

კონსტანტინე გამსახურდია გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივლისს. ცნობილია, რომ კონსტანტინეს ნაწარმოებების მიმართ განსაკუთრებულად მკაცრი იყო მაშინდელი ცენზურა; მისი რომანებიდან და მოთხრობებიდან, დამკვიდრებული პრაქტიკით, ცენზორები, ავტორთან შეუთანხმებლად ჭრიდნენ მაშინდელი იდეოლოგიისთვის მიუღებელ პასაჟებს და ხშირად საერთოდ კრძალავდნენ მისი ნაწარმოებების დაბეჭდვას, რის გამოც სვეგამწარებული მწერალი ცენზურას „ქორმეძებრებიანებს“ ეძახდა.

მწერლის სოცოცხლის უკანასკნელ წლებში ცენზურამ აკრძალა მისი „ლანდებთან ლაციცი“, „თამარი“, რომლის დამთავრება მწერალმა ვერც შეძლო, რასთან დაკავშირებითაც მისი დიდი შვილი ზვიად გამსახურდია იხსენებს:„სიცოცხლეს უმწარებდნენ მას ყოველ სტრიქონზე, ყოველ სიტყვაზე, რაც მძიმედ მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე. ბოლოს იგი შავნაღვლიანობამ შეიპყრო და მძიმედ დაავადდა კიდეც“, რაც მწერლის გარდაცვალებით დასრულდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფი ბატონი სოსო სიგუა მწერლის დაკრძალვას მის მიერ გამოცემულ წიგნში ამგვარად აღწერს: „ივლისის მცხუნვარე მზე სწვავდა თბილისს. ბევრს ქალაქი დაეტოვებინა, სოფლებსა და აგარაკებს შეფარებოდნენ. არც სტუდენტები და მოსწავლეები ჩანდნენ... მაინც უამრავი ხალხი მოვიდა „კოლხურ კოშკსა“ და მწერალთა სასახლეში, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ იმ კაცისათვის, ვისი ხმა მთელი საუკუნე აფხიზლებდა საქართველოს. ჩამოდიოდნენ რაიონებიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან... დაკრძალვის დღეს დიდოსტატის თაყვანისმცემლებით დაიფარა მაჩაბლის ქუჩა... გამოსვენება გაძნელდა. ხალხმა კატაფალკაზე უარი თქვა და მაჩაბლის ქუჩიდან რუსთაველის გავლით „კოლხურ კოშკამდე“ ხელით ატარა სათაყვანო მწერლის ცხედარი... რადგან მთაწმინდაზე ადრევე უარი ეთქვა, საქართველოს დამაქცევარის ფილიპე მახარაძის გვერდით არ დავიმარხებიო...“ („მარტვილი და ალამდარი“, 2011).

ერთ-ერთ ინტერვიუში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელი ფოტო-კორესპონდენტი ჯემალ კასრაძე კი იხსენებს: „...როდესაც კონსტანტინე მწერალთა კავშირის შენობიდან გამოასვენეს, პროცესია გალის ქუჩამდე ანუ „კოლხურ კოშკამდე“ ფეხით გაემართა (კონსტანტინე გამსახურდია, მისივე ანდერძის თანახმად, მისი სახლის ეზოშია დაკრძალული). ძალიან ბევრი ადამიანი მიაცილებდა მწერლის ცხედარს. იმდენი ხალხი, რაც მაშინ ვნახე, არავის გასვენებაზე აღარ მინახავს. რუსთაველის გამზირი ხალხით იყო გადაჭედილი... პროცესია რუსთაველის ძეგლთან შეჩერდა, ამ ჟესტით ის თავის წინამორბედს გამოემშვიდობაო “ .

კონსტანტინე გამსახურდია, თავისივე სიტყვიერი ანდერძის თანახმად, კოლხური კოშკის ეზოში დაასაფლავეს ; მისი კატეგორიული უარი, დაეკრძალათ მთაწმინდის პანთეონში, სრულად განპირობებული იყო ფილიპე მახარაძისადმი ზიზღით, რასაც იგი არასდროს მალავდა. ზვიად გამსახურდიას არალეგალურ ჟურნალში „მატიანე“ N2, 1987 წ. დაბეჭდილია ლევან ასათიანის ნაამბობი ილია ჭავჭავაძის საფლავიდან ამოთხრის მცდელობის შესახებ, რასაც სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე, ისევე როგორც მკვლელობის გეგმას ილია ჭავჭავაძისა.

წერილის ბოლო აბზაცში , კერძოდ, ასეა გადმოცემული კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიყავი, ვარ ახლა და ვიქნები მომავალში განუზომლად პატივისმცემელი ილიასი; მისი უბრალო უპატივცემულობაც კი არავისთვის მიპატიებია და არც ვაპატიებ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს (აქვეა აღწერილი, თუ როგორ იშიშვლა სატევარი, კონსტანტინემ, მწერალთა სახლში მოცვენილი პროლეტარული მწერლების წინააღმდეგ, რომლებიც შეეცადნენ ილიას სურათის დაწვას, ხოლო შემდეგ კი, მთაწნინდაზე, ილიას საფლავის ამოთხრას - ლ.ც.)... ყველა ამ გარემოებას სათავეში ედგა ფილიპე მახარაძე და ამიტომაც მძულდა ყოველთვის იგი, მძულს და მეძულებაო“.

არალეგალური ჟურნალის ამ ნომრის მეთაურ წერილში ვახტანგ გურგენიძე წერს: „ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რა სასტიკად გაუსწორდა ფ. მახარაძე ... ყველა მათ, ვინც, განსაკუთრებით ილიას იუბილის დღეებში სთქვეს სიმართლე, ვინც არ დაინდო ილიას მთავარი მკვლელი ფ. მახარაძე (ტ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, დ. შევარდნაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. დევდარიანი და სხვა). ფ.მახარაძის ბრძანებით კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრება 1926 წელს და სოლოვკის ლაგერში გაგზავნაც, ნაწილობრივ იმავე მიზეზებით იყო გამოწვეულიო“.

როგორც ცნობილია, ფილიპე მახარაძის საფლავი 1987 წელს ააფეთქა დღემდე უცნობმა პატრიოტმა, თუმცა, კომუნისტური პარტიის მაშინდელი გენერალური მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ბრძანებით საფლავი იმავე დღეს აღადგინეს .

მახარაძის საფლავის აფეთქებასთან დაკავშირებით უშიშროებაში დაკითხვაზე დაბარებული იყო ზვიად გამსახურდიაც, რომელმაც, ცხადია უარყო საფლავის აფეთქებასთან რაიმე კავშირი, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო ამ პატრიოტული აქტის შემოქმედი, მისი ამგვარი პროტესტის კულმინაცია იდეოლოგიურად, ნამდვილად შემზადებული იყო ზვიად გამსახურდიას მიერ 1987 წელს გამოცემული, სწორედ იმ ზემოხსენებული არალეგალური ჟურნალით „მატიანე“, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით ვრცელდებოდა ხალხში, უნივერსიტეტსა და ახლობლებში კი მეც ვავრცელებდი . ეს ჟურნალი მთლიანად და სრულად ეძღვნებოდა ფილიპე მახარაძის, როგორც პირწავარდნილი მარქსისტის გამომზეურება-მხილებას ვახტანგ გურგენიძის წერილით დაწყებული, ფილიპე მახარაძის საიდუმლო დეპეშების გამოქვეყნები; ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით ირბეოდა, იძარცვებოდა და ფუნქცია ეცვლებოდა ქართულს ეკლესიებს, საფლავებიდან თხრიდნენ სახელოვან მამულიშვილთა ნეშტებს . ასე მაგალითად, 1939 წელს დიდუბის პანთეონიდან ამოთხარეს ქართული კონიაკის ფუძემდებლის, ეროვნული მოღვაწისა და უდიდესი მეცენატის, ბოლშევიკ მახარაძისაგან „ბურჟუად“ შერაცხული, დავით სარაჯიშვილის ძვლები და ვაკის სასაფლაოს ხევში ჩაფლეს, ხოლო შემდგომ კი მიცვალებულის თითიდან მოხსნილი ოქროს ბეჭდის წყალობით თვით სასაფლაოზე დაკრძალეს. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი, ამჟამად, 1994 წლიდან განისვენებს ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის ეკვდერში (წყარო - ვიკიპედია, დიაოხი).

ჯუმბერ პატიაშვილის ამაგმა ფილიპე მახარაძის საფლავის აღდგენაზე სათანადოდ ვერ იმუშავა მაშინდელი თანამედროვე საზოგადოების აზრზე, ვინაიდან, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა თავიანთი არალეგალური ლიტერატურის მეშვეობით ენერგიულად ნერგავდნენ ისტორიულ სიმართლეს კომუნისტურ რეჟიმზე და მათ სისხლიან დიქტატურაზე. მათი ლიდერობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთდა და კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა 1989 წელს მახარაძე მთაწმინდიდან ხუდადოვის ბოლშევიკთა პანთეონში გადაესვენებინა. მასთან ერთად გადაასვენეს მიხა ცხაკაიასა და სილიბისტრო თორდიას ნეშტებიც. მახარაძისა და ცხაკაიას ადგილას 2008-09 წლებში ანა კალანდაძე და ნოდარ დუმბაძე დაკრძალეს.

დღეს, თვით ზვიად გამსახურდიაც კი, მთაწმინდაზე განისვენებს. ამ ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აწ უკვე სრულიად მართლზომიერია, რომ დიდ კლასიკოს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასაც მიეკუთვნოს თავისი კუთვნილი ადგილი მთაწმინდაზე საკუთარი ძის - დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გვერდით!

მივმართავ ჩვენს სახელოვან ქართველ მწერლებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს, მეცნიერებს, ლიტერატურულ მკვლევარებს, საზოგადო მოღვაწეებს გულისხმაყონ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი და სათანადო სახელისუფლო უწყებების ჩართულობით აღასრულონ კონსტანტინე გამსახურდიას კოლხური კოშკიდან მთაწმინდაზე გადასვენების ისტორიული მისია.

მე, ცხადია დავიწყე რა ფიქრი ამ ფაქიზ, საკრალურ საკითხზე, მოვიაზრე პიროვნებათა ჯგუფიც, რომლებსაც უახლოეს მომავალში პირადად ვეახლები თხოვნით ჩართულობისათვის (რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამომრჩენია ოჯახიც...).

ჩემი ფუნქცია და როლი, დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდიას მთაწმინდაზე გადასვენების საკითხის შესახებ, მხოლოდ ამ გაზეთში დასმით ამოვწურე და აწ უკვე ჯერი, კომპეტენტურ და ავტორიტეტულ პიროვნებებისაგან შემდგარ კომისიაზეა.

ლეილა ცოფანია

2016 წლის 15 მაისი

„ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“ საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით?!.

საქართველოს, მწვავე ეკონომიკურ კრიზისიდან გამოყვანა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება-განვითარება, სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან, როგორც მთლიან ნაწილთან ერთად ახალი ქართული სახელმწიფოს არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. ამ პრობლემის არსებობა განაპირობებს ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარე არასტაბილური პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი და დამამძიმებელი ფაქტორია.

ორ ათეულ წელზე მეტია ქვეყანა უმძიმესი პრობლემის წნეხის ქვეშაა მოქცეული. ყოფილი ხელისუფლების გაუაზრებელი და უპასუხისმგებლო მოქმედებებით სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება სხვა სიბრტყეში იქნა გადატანილი, ხოლო მისი გადაწყვეტილების გზები მოჩვენებითი პიარკამპანიების ბურუსით მოცული.

საქართველოს ყოფილი და სამწუხაროდ ამჟამინდელი ხელისფულების ძალისხმევა არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით გაუგებარია, რაც უკმარისობის გრძნობას ბადებს და აჩენს სერიოზულ ეჭვს, ნამდვილი სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ, რომელსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფასეულობათა სისტემა გააჩნია და რომლის დაცვისათვის საჭიროა ეფექტურად ფუნქციონირებადი მექანიზმი და ეს მექანიზმია სახელმწიფო.

ეკონომიკური კრიზისი ქრონიკულ ფაზაში გადავიდა. განვითარების სოციალური პარამეტრები მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის მზარდი დეგრადირების პროცესის გაღრმავებას ადასტურებს. საბაზრო ურთიერთობათა ცალმხრივად დამკვიდრებამ, დარგობრივი სტრუქტურის, ასევე კაპიტალისა და კოორდინაციის მექანიზმების დეფორმირება გამოიწვია. მივიღეთ მძიმე სოციალურ-პოლიტიკური შედეგი: ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე მოსახლეობის უმცირესი ნაწილის - „ახალი მდიდრების“ და გაღატაკებული უმრავლესობის - „ახალი ღარიბების“ დაპირისპირება, რომელიც თანამედროვე პირობებში გადაიზარდა მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობაში.

ფორმირებადი საზოგადოებრივი მენტალიტეტი ჯერ კიდევ რეალურად ვერ აფასებს სპონტანურად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სინამდვილეს. სახელმწიფომ ვერ გააცნობიერა გარდამავალ პერიოდში საკუთარი როლი და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები. გაბატონებული მითი, ბაზრის ყოვლისშემძლეობის შესახებ, ნელ-ნელა ინგრევა, ადამიანი კი ფსევდოდემოკრატიზაციის ფონზე, ერთის მხრივ თავისუფლებისა და დემოკრატიის აუცილებლობის ზღვარს გადასული, შიშველი პროპაგანდის ობიექტია, მეორეს მხრივ, კი პიროვნული ღირსებებისა და მორალურ-ზნეობრივი საწყისების დათრგუნვა-დეგრადირების ხელშემწყობი სუბიექტის როლის შემსრულებელი.

ასეთი რთული, მრავალწახნაგოვანი სიტუაცია მოითხოვს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მეცნიერულად გაანალიზებას დღევანდელობის მთავარი ძალების (ფაქტორების) სწორად განსაზღვრას, საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მათ კომპლექსურად ამოქმედებას.

საზოგადოებას უნდა აღვუდგინოთ ეროვნული ხელისუფლების დროინდელი ერთიანობის განცდა საერთო, ფასეული მიზნის დასახვისა და მიღწევის კონტექსტში, მის ძირითად სამოქმედო არეალად ფორმაციული ცვლილებებისას მატერიალური სივრცე გახდა, რაც გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციული ცვლილებებით. უნდა ვეძიოთ გამოსავალი და ვიფიქროთ, თუ რა შეიძლება დაედოს საფუძვლად ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების სოციალურ- ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის რეალურ მცდელობას.

დადგა დრო, მეცნიერულად შეჯერებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების საფუძველზე ეკონომიკურ პროცესში ჩავრთოთ კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების, მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების ინოვაციური გამოყენება, რომელიც ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობაა.

არცერთ ქვეყანას არ გადაულახავს ეკონომიკური კრიზისი და არ მიუღწევია თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს საკუთარი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გარეშე,

სწორედ ამ იდეამ გვიკარნახა ჩვენ, ქართველ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეთა გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც „ქვეყნის სწრაფი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფცია–პროგრამა“ შევიმუშავეთ და მის მაკროეკონომიკურ კვლევებს კონკურენტუნარიანი უპირატესობის გამოვლენის მიზნით 12 წლიანი მუხლჩაუხრელი შრომა მოვანდომეთ.

ვინ, ან რა არის ის უხილავი ძალა, რომელიც წინ ეღობება, აფერხებს და განვითარების საშუალებას არ აძლევს ჩვენს ქვეყანას. არადა, რა ახლო მანძილი გვაშორებს ჩვენი სამშობლოს მისი მოსახლეობის ღირსეული ზნეამაღლებული ცხოვრების წესით თანაარსებობასთან. უფალმა მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში კულტურული ცხოვრებისა და შრომის საშუალება გვიბოძა. ჩვენი ქვეყანა ერთ–ერთი უმდიდრესი ქვეყანაა პლანეტა დედამიწაზე, ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების მაღალხარისხიანი, ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსული პოტენციალით. მისი მარაგები ბევრად აღემატება მსოფლიო მოსახლეობის 7,3 მილიარდზე მეტი ადამინის ყოველდღიური ბიოლოგიური მოთხოვნილების ნორმას (2–2,5 ლიტრი) და ჭარბი გვრჩება 7,5 მილიარდი ლიტრი. დასაშვები საექსპლუატაციო მარაგებიდან ვიყენებთ მხოლოდ 0,75%–ს, ანუ 301მ3/წმ–დან ინდუსტრიულ წარმოებაში გამოყენებული იქნება 2,5 მ3/წმ–ში სასმელი წყალი, რომელიც ორცვლიანი სამუშაო დღით წელიწადში 50 მილიონ ტონა დაფასოებულ პროდუქციას გვაძლევს. ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებიდან ერთი წლის თავზე ქვეყნის ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მილიარდი აშშ დოლარით, ბიუჯეტში მობილიზებული იქნება 3 მილიარდი აშშ დოლარი. დასაქმდება ათეული ათასობით ადამიანი საშუალო ხელფასით 1500 აშშ დოლარი. ეს ხელფასები გაორმაგდება მე–4 წლიდან დარგობრივი ეკონომიკური პროექტების რეინვესტირების შედეგად, ხოლო მე–9 და მე-10 წლებში ეს ანაზღაურება გასამმაგდება; დასაქმდება საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 450 ათასზე მეტი ადამიანი: სოფლისა და სატყეო მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში, ენერგეტიკის, ურბანული განვითარებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგობრივ პროექტებში. რაც მთავარია, განსაკუთრებული აქცენტებია აღებული საზღვრისპირა და მაღალმთიანი თანამედროვე სოფლების მშენებლობაზე, მამაპაპისეულ მიწა–წყალს უნდა დავუბრუნოთ ძირძველი მემკვიდრეები. ზემოთხსენებული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხები და მოცულობითი სამუშაოები გარანტირებული ღონისძიებებით გათვლილი გვაქვს დარგობრივი ეკონომიკის კონცეფცია–პროგრამებში შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებებით. თუ სოფლად მცხოვრებს არ შევუქმნით თანამედროვე ცხოვრებისა და კულტურული შრომის პირობებს, არ ავუშენეთ: სკოლები, კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრები, ბიბლიოთეკა, ამბულატორიული დანესებულებები, თუ თავიდანვე არ გავუჩინეთ ადამიანებს ინტერესი გლეხურ–ფერმერულ კლასტერულ მეურნეობაში ერთობლივი შრომის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენების პერსპექტივებისა, ვერცერთ შემთხვევაში ვერ ვუზრუნველყოფთ მათ სოფლად დამაგრებას. ამიტომ, გათვლილი და განსაზღვრული გვაქვს ყველა თანამიმდევრობითი გასატარებელი ღონისძიებების ფულად რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმები, შრომის შედეგად მიღებული ჭარბი პროდუქტი მთის კოოპერირების კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად თანამედროვე სისტემური მიდგომებით მოხვდება ქალაქის საცალო ვაჭრობის დახლებზე, ხოლო ფერმერი ადგილზე მიიღებს ანაზღაურებას ყოველგავრი მოცდენის გარეშე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქალაქების, მუნიციპალური ერთეულების, დაბებისა და სოფლების წყალმომარაგების ახალი სისტემების მშენებლობისათვის ფინანსურ უზრუნველყოფას. ქალაქ თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების წყალმომარაგება–წყალარინების სისტემები იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ წყალმომარაგების სისტემებში დანაკარგები 48% აღემატება. უნდა ვიცოდეთ, რომ თბილისი მოიხმარს 21 მ3/წმ–ში წყალს ხოლო წყალარინების მთავარ კოლექტორში (წყალშემკრებში) რომელიც ლოჭინის დასაწყისში მდებარეობს 3,4% წყლით განზავებული მასა იყრის თავს, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თბილისის წყალმომარაგება–წეყალარინების სისტემები კატასტროფულად საგანგაშო მდგომარეობაშია. ამიტომაც გახშირდა ელბაქიძის დაღმართზე მომხდარი მსგავსი მეწყერები, როგორც მტკვრის მარჯვენა ასე მარცხენა სანაპიროს დასახლებულ პუნქტებსა თუ სატრანსპორტო გზებზე, კახეთში კი წყალმომარაგების სისტემების არარსებობის გამო ვირ–ურიკის სატრანსპორტო სისტემებით ხდება სასმელ–სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა.

საქართველოს გადაუდებლად ესაჭიროება წყალმომარაგება–წყალარინების სისტემების მშენებლობისათვის საჭიროა 8 მილიარდი აშშ დოლარის სამუშაოების წარმოება 5 წლიანი პერიოდით, წყალი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით, როგორც დიდ ქალაქებისა და დაბებისათვის, ასევე სოფლად მაცხოვრებელთათვის.

ჩვენ დათვლილი გვაქვს ყველა დარგობრივი პროექტების: ენერგეტიკის, მცირე და საშუალო ჰესების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების, მზის, ქარის ენერგომიმღები სისტემების მშენებლობისათვის საჭირო თანხები და შესრულების ვადები.

დათვლილი გაქვს სოფლისა და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ხარჯები. მსუბუქი მრეწველობის, ირიგაციისა და დეგრადირებული სასოფლო–სამეურნეო სავარგულების საბალანსო მოცულობის ზრდის ხარჯები, ასევე დათვლილი გვაქვს კოოპერაციის მთასა და ბარში კლასტერული მოწყობის დანახარჯების მოცულობა, განათლებისა და მეცნიერებისათვის საჭირო თანხების მოცულობა, განათლება უნდა გახდეს ყველა ცოდნის მიღების მსურველთათვის ხელმისაწვდომი, დაფინანსდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ცენტრები.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მიგვაჩნია სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. ეტაპობრივად განხორციელდება სახელმწიფო შიდა ვალების 11 სახის სავალო ვალდებულებების გასტუმრება აქციებისა და ფასიანი მომგებიანი ქაღალდების სახით. დაკარგული კაპიტალი უნდა დაუბრუნდეს ხალხს. უნდა აღდგეს სოციალური სამართლიანობა, მხოლოდ რამოდენიმე ერთეულ ადამიანზე არ უნდა იქნეს გადანაწილებული ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი მშობლების მიერ შექმნილი მატერიალური სიკეთე, რასაც ქვეყანაში დღემდე მიმდინარე ხელაღებული პრივატიზაცია ადასტურებს. ყველა მაღალ განვითარებულ სახელმწიფოებში, მაგალითად აშშ-ი სტრატეგიული ობიექტების 27% ოქროს კვეთის პრინციპით სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენი 73% დიდი, მცირე და საშუალო ბიზნესზეა გადანაწილებული, ამათგან ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო მცირე და საშუალო ბიზნესის მეშვეობით მიიღწევა, რასაც დღემდე ხელაღებით დევნიან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ რეალობიდან.

ჩვენ, ეტაპობრივად, უსასყიდლოდ გადავცემთ საქართველოს თითოეულ მოსახლეს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ერთ აქციას, გასხვისების უფლების გარეშე პირველი ათი წლის მორატორიუმის გამოყენებით, რადგანაც ხალხი უმძიმეს ყოფით პირობებში ცხოვრობს შესაძლებელია თეთრი ხურდების ფასად გაასხვისონ კუთვნილი ფასიანი ქაღალდი-აქცია (და მივიღოთ ისევ უსასრულობამდე გაღატაკებული სოციალური ფენა), რომლის მატერიალური ღირებულება საკმაოდ მზარდ მოცულობამდე

გაგრძელება გვ. 9

მეცნიერება

„ლაზთა ქართველური თვითაღქმისათვის“

ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგეს ქართული, სვანური, ზანური ანუ, მეგრულ- ლაზური (კოლხური), რომლებიც საერთო ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს. როდესაც ვცდილობთ, უფრო მეტად გავერკვიოთ ამ ენათა ისტორიულ წარსულში, ნათელი ხდება თითოეულის წარმომავლობა საერთო ფუძეენიდან. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ ყველა ამ ენის მატარებელი ტომი ქართველია, ისინი ქმნიდნენ საუკუნეების მანძილზე ქართველთა საერთო კულტურასა და ტრადიციებს. ჩემი მიზანია, ლაზურის , როგორც ქართველური ენის ისტორიული მიმოხილვა, არსებული პრობლემების წარმოჩენა და გადაჭრის გზების დასახვა.

უპირველესად, უნდა დავიწყოთ, მოკლე ისტორიული რაკურსით. ლაზებზე ისტორიკოსები წერდნენ:

პროკოპი კესარიელი - “ ჭანები ძველთაგანვე თავისთავადნი იყვნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ.“

ბიზანტიელი ისტორიკოსი - “ ლაზები მეტად მრავალრიცხოვანი და მეომარი ხალხია და სხვა ძლიერ ხალხებსაც მბრძანებლობენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზედ მეტად ქედმაღლობენ, და უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ.“

ვახუშტი ბატონიშვილი ლაზებს ასე ახასიათებს:

„კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამე“

აგათია სქოლასტიკოსი წერს: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას.“

მეცამეტე საუკუნის ბოლო პერიოდის მოღვაწე იბნ-ბიბი ლაზისტანის მთელ სანაპიროს „ჭანეთად“ მოიხსენიებდა და ამ სახელწოდებას იყენებდა ტრაპეზუნტის იმპერიისათვის.

საერთო ქართველური წარმოშობის საკითხზე თავად ლაზებში აზრთა სხვადასხვაობაა – ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ქართველებთან ყოველგვარ კავშირს და თავს თურქულ ტომად მიიჩნევს, ნაწილი აღიარებს ამ კავშირს, ნაწილის აზრით კი ისინი მეგრელებს ენათესავებიან და არა ქართველებს. ცხადია, ეს თურქული იდეოლოგიის გავლენაა. ასეთი დაყოფა მათ გეოგრაფიულ განსახლებაზეცაა დამოკიდებული – საქართველოსთან რაც უფრო ახლოს ცხოვრობენ, მით უფრო ქართველობენ, სარფიდან თურქეთის სიღრმეში შესვლისას კი ეს დამოკიდებულება თანდათან იცვლება.

უნდა დაისვავს კითხვა, როგორ წარმოიქმნა ცალკეული ენობრივი ერთეულები?

როგორც უკვე ვთქვით, საერთო ქართველურის დაშლა გახდა საფუძველი და ასე ჩამოყალიბდა ქართველური ენები. თავდაპირველად დეეტერსმა გამოყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის საპირისპიროდ. მოგვიანებით მოხდა ქართულისა და ზანურის გამოყოფა დამოუკიდებელ ენებად, უფრო გვიანკი ზანური დაიშალა მეგრულად და ლაზურად და დაიწყო მათი დამოუკიდებლად განვითარება. ზანურის დაშლას კულტურული და ისტორიული ფაქტორები ედო საფუძვლად.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზებსა და მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, “ ასე იყო, როგორც ჩანს, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთიდან, ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუშორებია... „

არნოლდ ჩიქობავას აზრით, ლაზურისა და მეგრულის დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, არამედ იმ ენობრივმა გარემოცვამ, რომლებშიც ისინი მოექცნენ ამ გათიშვის შემდეგ.

როგორია ამჟამინდელი მდგომარეობა?

ლაზები კომპაქტურად მოსახლეობენ ამჟამინდელ თურქეთში. თურქული მათთვის სახელმწიფო ენაა, ასე რომ ლაზურ მოსახლეობაში თავი იჩინა ორენოვნებამ. ათინურ კილოკავზე მოლაპარაკე ლაზების ერთი ნაწილი საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულენოვან მოსახლეობასთან. როგორც ლინგვისტები მიუთითებენ, ასეთი მჭიდრო ენობრივი კონტაქტის ლინგვისტური შედეგი ისე შორს არის წასული, რომ ლაზურის ნებისმიერ კილოკავზე მოლაპარაკეს ზოგჯერ უჭირს ათინელის გაგება; მათ შორის ენობრივ კომუნიკაციას თანხმოვან ბგერათა გადაწევა აფერხებს, რაც ენის განვითარების შიდა კანონებით არის გამოწვეული და სხვა ენათა გავლენას არ მიეწერება. თავის მხრივ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის, ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ მდგარა. მიუხედავად ასეთი იზოლაციისა ქართულენოვან სამყაროსაგან, ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით ლაზური დღესაც სიახლოვეს ინარჩუნებს ქართველურ ენებთან, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მათგან ფონემათა დისტრიბუციული მიმართებების

თვალსაზრისით.

ენის სტრუქტურას მნიშვნელოვნად განაპირობებს ენაში ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური პროცესები, ე. წ. ფონეტიკური ტენდენციები. სწორედ ეს ტენდენციები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ფონეტიკური კანონები წარმართავენ ენის ფონოლოგიური მოდელის ფორმირებას. ენის სტრუქტურისა და მისი ფონეტიკური ევოლუციის ურთიერთქმედება დაედო საფუძვლად ზანური ენობრივი ერთიანობის დიფერენციაციას და ამავდროულად მეგრულისა და ლაზურის დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბებას. მიუხედავად ამისა, არნოლდ ჩიქობავა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლაზური და მეგრული ერთი ენის - ზანურის დიალექტებია. არნოლდ ჩიქობავამ ქართველოლოგიურ კვლევებს დაუსახა ერთი ამოცანა, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება ქართველური ენების ისტორიის ახსნა მხოლოდ ამ ენების მონაცემების საფუძველზე, საჭიროა, გასვლა მის ფარგლებს გარეთ, იგი მიიჩნევს, რომ უნდა გავითვალისწინოთ აფხაზურ-ადიღური და ჩეჩნურ-დაღესტნური ენების მასალები, ასევე წინა აზიის მკვიდრი ენების მონაცეემები.

მეცნიერი ნათელა ქუთელია თავის ნაშრომში აღნიშნავს, “ ძნელია გადაჭრით შეაფასო ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის აკად. ჩიქობავას ლაზური კულტურის და ლაზთა ეთნიკური შეგნების შენარჩუნების საქმეში. სრულმა განუკითხაობამ, თავამწყვეტილმა ფონეტიკურმა პროცესებმა ენობრივი იერარქიის ყველა საფეხურზე მიიყვანეს სხვადასხვა რეგიონის ლაზთა მეტყველება სრულ გაუგებრობამდე. ენათმეცნიერთა წინაშე იდგა ამოცანა - შეეზღუდათ ის პროცესები და მოექციათ ისინი გარკვეულ ინტეგრაციულ სფეროში, რათა შენარჩუნებულიყო მთავარი ფუნქცია - გაგებინება.

როგორც ცნობილია შეიქმნა პირველი ლაზური წიგნი „ლაზური პარამითეფე“, რომელსაც ახლავს ლაზურ-მეგრულ-ქართულ-თურქული ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავამ დასახა ამოცანა - რომ ტექსტი გაწმენდილი ყოფილიყო ჭარბი თურქულ-ბერძნული ლექსიკისაგან და მოძებნილი ყოფილიყო საკუთრივ ლაზური სიტყვები. ქართველური ენათა შედარების საფუძველზე აღდგენილიყო ის ლაზური ძირები, რომელთა არსებობაც ეჭვს არ იწვევდა. ნათელა ქუთელიას მოჰყავს მაგალითებიც.

ტყის აღმნიშვნელი სიტყვა ლაზურში დღეს აღარ მოიპოვება, ნათელია, რომ ხე-ტყით მდიდარ ლაზებს აუცილებლად ექნებოდათ ტყის აღმნიშვნელი სიტყვა, მითუმეტეს რომ ლაზურში არის გამოთქმა „მტკური ქოთუმე“ რაც ტყის გარეულ ქათამს ნიშნავს. „მტკური სხული“ ტყის მსხალი. ლაზურად „მტკა“ სხვა არაფერია, თუ არა საერთო - ქართველური ტყე. მეცნიერი ასევე აღნიშნავს: “ თუ რომელი ანბანით უნდა დაწერილიყო პირველი ლაზური წიგნი, ასეთი საკითხი არ დამდგარა, არნოლდ ჩიქობავას მითითებით, ზანური , როგორც ერთ-ერთი ქართველური ენა უნდა სარგებლობდეს თავისი საკუთარი ქართული ანბანით, რომელიც ადექვატურად გადმოსცემს, ლაზურ ფონემათა ინვენტარს“.

შემდეგი პრობლემა გახლავთ ტენდენცია - ლაზებს თავს მოახვიონ ლათინური ანბანი ან სლავური “ კირილიცა“.

ნათელა ქუთელია იხსენებს, მას თურქეთიდან მიუღია ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი - ლაზი მასწავლებლისგან, რომელიც ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ არ იცოდა “ ლაზური “ ანბანი “ - “ კირილიცა“ და პირდებოდა , რომ შემდეგ წერილში ამ “ შეცდომას “ გამოასწორებდა.

ევროპულ საენათმეცნიერო შრომებში ლაზური მაგალითები წარმოდგენილია ლათინური ტრანსკრიფციით. ისე , როგორც თითქმის ყველა სხვა ენის მასალა, მაგრამ სახელმძღვანელო, ლექსიკონი, ჟურნალი უნდა გამოდიოდეს ქართული ანბანით. ყველა ცდა ამის უგულებელყოფისა მიგვიყვანს ლაზების ისტორიის და კულტურული ტრადიციების უარყოფამდე.

დღეს ლაზისტანი თურქეთის რესპუბლიკაში შედის. მათ ცივილიზებული და კულტურული ცხოვრების ყველა პირობა გააჩნიათ. ლაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მათი სახელმწიფო ენა თურქულია, მაგრამ არსებობს ლაზური ეთნოსი და ლაზური მეტყველება და მათი შენარჩუნება ცივილიზებული სამყაროს ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ანი სპარსიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის
მე-3 კურსის სტუდენტი

„ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“ საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

დასაწყისი გვ. 7

მიაღწევს 7-წლიან პერიოდში.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ გვაქვს ეკონომიკურ კრიზისიდან გამოყვანისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უნიკალური და რეალური შანსი, არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალი, აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა გახდეს ბიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ–ერთი წარმატებული ქვეყანა მთელ სამყაროში. ამის რეალურ საშუალებას იძლევა მიწისქვეშა სასმელი წყლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, დაბანდებული კაპიტალის უკუგების ძალზედ ხანმოკლე პერიოდი და ბუნებრივი კვლავწარმოების ანუ მუდმივი განახლების უნარი – რომლის ერთ–ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია საქართველოს არეალში არსებული ტყით დაფარული ფართობები, ე.ი. თუ გვექნება ტყის კორომები გლობალური დათბობის პირობებშიც უწყვეტი ციკლით გვექნება მაღალხარისხიანი სასმელი წყალი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ზრუნვის საგნად უნდა ვაქციოთ ტყის მეურნეობის ორგანიზაცია მართვა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ჭრაგავლილი დეგრადირებული ფართობების აღდგენა–განახლებითი სამუშაოების წარმოებას, რომელსაც ორი ათეული მილიარდი აშშ დოლარზე მეტი და 25-30 წელი სჭირდება. სწორედ ამ თანხების მობილიზებასა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის დარგობრივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისათვის საჭირო თანხების მოზიდვის მოდელია ჩვენს მიერ შემუშავებული ფინანსური მოდელის მეშვეობით, რომლის ექსკლუზივსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლი სულისკვეთების გამო ვაწვდი თქვენს გაზეთს; ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება, რაც გულისხმობს ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის მატერიალიზებას საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი მომგებიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, ევრობონდებისა და თამასუქების) სახით უზრუნველყოფს ბაზრის სეგმენტის მოპოვებასა და სასმელი წყლის ინდუსტრიული მშენებლობისათვის საჭირო 3 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვის რეალურ საშუალებას, რაზეც ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია ოფიციალური შეთანხმება აშშ–ს სტრატეგიულ პარტნიორებთან შესაბამისი ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი სახით. დასრულდება თუ არა ინდუსტრიული მშენებლობა და თუნდაც ერთეული პროდუქტი გადაკვეთს საქართველოს საზღვარს, სარეალიზაციო ფასის ყოველწლიური 24 ცენტი ლიტრის პირობებით, ჩვენ ქართულ მხარეს გვეკისრება მზა პროდუქციის საზღვრებამდე მიტანა, ხოლო შემდგომ მისი რეალიზაციით მიღებულ მოგებაში მონაწილეობას არ ვღებულობთ, ამ მოდელით იწყება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლების ზრდის პროცესი 12 მილიარდი აშშ დოლარით.

ფინანსურ ინსტიტუტებთან წინასწარ დაგეგმილი შეთანხმებით ვიწყებთ კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენების პირველი ეტაპის გახორციელებას. პირველ ეტაპზე სასმელი წყლის საერთო დასაშვები საექსპლუატაციო სახელმწიფო მარაგებიდან პესიმისტური მოდელის მიხედვით ვიღებთ მარაგის 25%–ს, ანუ 74,6 მ3/წმ–ში და ამ მოცულობის შესაბამისი აქტივები გაგვაქვს სტრატეგიული პარტნიორების დახმარებით საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი (წლიური სარგოთი)

ფინანსური რესურსების მოსაზიდად დარგობრივი ეკონომიკური პროექტების გასახორციელებლად, რომელიც შესაბამისი მოგების მიღებით 6 წელიწადში ააღორძინებს ქვეყანას. ე.ი. ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით ჩვენ ინდუსტრიული წარმოების შედეგად მშპ–ს მოცულობის ზრდის პერსპექტივებისა და პროდუქციის უწყვეტი ციკლით წარმოების პირობების შექმნით რეალურად შევძლებთ გავზარდოთ ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე, კაპიტალიზაციისა და ფინანსურ რესურსებში ჩართვის ტექნოლოგიურ- ინოვაციური მოდელის მეშვეობით საქართველოს აქტივების სახით შევძინეთ ასეული მილიარდობით აშშ დოლარის მატერიალური ფასეულობა უმაღლესი კლასის მსოფლიო საბანკო გარანტიით.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ქვეყნის სწრაფი სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებასა და დარგობრივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას სჭირდება ფული, ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ ვეწინააღმდეგებით ინვესტორების მეშვეობით ინვესტიციების შემოდინებას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ მხოლოდ კაპიტალის მფლობელთა მცირე ჯგუფების გამდიდრებას, ეს კი ეროვნულ ეკონომიკის განვითარებას არაფერში არ წაადგება და ჩვენი ხალხი სამუდამოდ უქონელ–უპოვარი დარჩება! „სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები არის ერის ეროვნული სიმდიდრე და იგი უნდა მოხმარდეს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობას“ შორეული პერსპექტივაში მომავალი თაობების ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისა მისი გაუმჯობესების გარანტიებით.

ყოველივე ამის განხორციელების რეალურ შესაძლებლობაში დაგვარწმუნა ჩვენივე ავტორობით შექმნილმა ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფცია–პროგრამის შესაბამისად შემუშავებულმა ბიზნეს გეგმის ფინანსური მოძრაობის 12 წლიანმა გათვლებმა და მართლაც მივიღეთ „ქართული ეკონომიკური სასწაული“, რომლის განხორციელებაც გარდაუვალია.

ამ მოდელით სახელმწიფო მართვის პრინციპული მიდგომები გვიდასტურებს, რომ უახლოეს პერიოდში გადავლახავთ ეკონომიკურ კრიზისს და ვიცხოვრებთ წელში გამართულ, ძლიერ და აყვავებულ ქვეყანაში, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთ–ერთი უმდიდრესი ქვეყნის შვილები, გაცილებით უფრო მდიდრები, ვიდრე გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნები და ასეთი სიღატაკის ზღვარს მიღმა არ უნდა ცხოვრობდეს ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ველური საბანკო ეკონომიკური პრინციპების დღემდე ჩამოყალიბებულ პარადიგმებს უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფო მართვის ახალი სისტემური მიდგომებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი უწყების ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მართვის მექანიზმები ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კერძო ბიზნეს–ინტერესებს საკუთარი გამდიდრების მიზნით. უნდა გაიგოს ყველამ, ეს ბუნებრივი რესურსი არის საერთო სახალხო საკუთრება და ის უნდა მოხმარდეს ქვეყანას და ხალხს, უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

გვახსოვდეს, უფსკრულის პირას ცალ ფეხზე მდგომი ჩვენი ქვეყანა და ხალხი დიდხანს ვერ გაუძლებს ამ უზარმაზარ ემოციურ დატვირთვას.

პაატა გიორგაძე
მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

ე.წ. „აფხაზთა კრება“ – ოკუპანტის იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების საჯარო განხილვა პოლიტიკური სპეკულაციისა და საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრის მორიგ მცდელობად იქცა.

საღ აზრს მოკლებულმა ე.წ. აფხაზთა კრებამ(პატარაია, კვარაცხელია...) ამჯერადაც უკუღმართად გაიგო კონსტიტუციაში ცვლილებების გამომწვევი მიზეზები ან სულაც არ გაცნობია მათ, მაგრამ ჭიქაში ქარიშხალი შექმნა - აქაო და „აფხაზეთის ხელისუფლება პოლიტიკურ და სამართლებრივ თავისუფლებას აცხადებსო!“ (სახელმწიფო დამოუკიდებლობას?!)

ასეთი, უარგუმენტო დასკვნის გაკეთება რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მათივე „ნააზრებიდან“, ჯერჯერობით, აშკარად მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა გამოჩნდა (?!) დავიჯეროთ, მართლა არ იციან, რომ მდ.ენგურს გამოღმა კი არ არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ის ენგურს გაღმაა?

და მხოლოდ იქ, იმ ტერიტორიაზე შესაძლებელი, რომ ჩატარებული არჩევნები ჩაითვალოს ლეგიტიმურად, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობის მონაწილეობით და არა ე.წ . აფხაზთა კრების ხუშტურით.

ისიც სავარაუდოა, რომ ამაში სერიოზული მზაკვრობაც იყოს ჩადებული, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია, ნაციონალური მოძრაობა იმდენად ღრმა კრიზისში იმყოფება, რომ ძირითად პოლიტიკურ ოპონენტებად აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება აღიარა, თუმცა ყოველივე ამას იგი აკეთებს სატელიტის ხელით ოკუპანტის იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ!

ნუგზარ მგალობლიშვილი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

თინათინ მღვდლიაშვილი

მზე მოიტაცეს

გამოიღვიძეთ, ქართველებო!
მზე მოიტაცეს!..
და თქვენი სუნთქვის გადაღლილ ფონზე,
როგორც დიდგულა კოლხელი ბიჭი,
ისე გაყიდეს რუსულ ბაზარზე!..
გამოიღვიძეთ, ქართველებო!..
მზე მოიტაცეს!..

1992 წელ

ყვითელი ღამე უცხო ნაპირზე

ორაგულივით მომისროლეს ყვითელ ღამეში,
საბედისწეროდ გადახსნილი მე მაქვს იარა...
ათასმა შტორმმა და გრიგალმა გადამიარა,
ვიდრე მეტოქეს შევხვდებოდი სისხლით გალეშილს.
ყვითელ ქვიშაზე შემზარავი დაძრწის აჩრდილი
და ავაზაკთა ლეგიონებს იწვევს ნადიმზე...
ანგელოზებო, არ დამტოვოთ უცხო ნაპირზე,
მდინარისაკენ გამათრიეთ მძიმედ დაჭრილი.
ჰეი, მთვარეო! შეგიხსნია ურცხვად საკინძე,
ხედავ, დამტორეს წუთისოფლის შლეგმა ზვავებმა...
მე მაწამებდა პოეზიის სამი ზმანება:
ბარათაშვილი, ბაირონი და რობაქიძე.
ორაგულივით, პოეტებიც ვეძებთ სათავეს,
შეშლილ ზვირთებთან შეჯახებას და შეფეთებას...
მეც სათავეში აღსასრული შემეფერება,
რომ ქვირითივით დაყრილ ლექსებს მკერდზე დავაკვდე.
******
მკაცრი ღამეა...და ჭრილობა ფეთქავს გულივით,
ყვითელ ნაპირზე მომისროლეს ორაგულივით!..

2010 წელი

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ს

წუხელ ვმწუხარებდი, - სიტყვა მომეძია...
ო, ეს პოეზია! - ზურგში სატევარი!..
შვენის პოეზიას ლურჯი ჰორტენზია,
როგორც ღამეული შავი საფერავი!..
მზერა - კამარიდან, ქალი - ქარაფიდან...
ურცხვად ნამზეური თეთრი ჩქერალები!..
უცხოდ მონაბერი ქარი ქალაქიდან...
ზესკნელს აზიდული მზეებრ მწვერვალები!..
მთები - მშვენიერი, ფრთები - შენმიერი...
ლურჯა ცხენებისგან არე გაქაფული!..
ერი - იისფერი თოვლით ნებიერი,
გზები - კოსმიური გზნებით გაკაფული!..
ოდენ არტისტული ლექსთა შერკინება,
ზევსთა შეჯიბრება ზესთა სონეტებით!..
არისტოკრატული ზღვაა პოეზია,
არისტოკრატები - დიდი პოეტები!..

2008 წელი

* * *

წყალნი წავიდნენ...სადღა დარჩნენ ნეტავ ქვიშანი?..
ზეიმობს, ვისაც შუბლზე აზის მხეცის ნიშანი!..
ამ დიდ ბაზარზე, ამ მსოფლიო რია-რიაში,
როს ვერ გაარჩევ ქალს კაცისგან, პანტას - ქლიავში, -
მე ავირჩიე ხელოვნება - უჰონორარო!..
ჰარიარალი, ჰარულალო, ჰარიარალოოო!..

წვიმის ღამე წინანდალში

წვიმის ღამეა...წინანდლის ბაღში
წარსულს დასტირის, ალბათ, კატინა...
ანგრევს სამყაროს ცრემლები ბავშვის,
ახალ ორლეანს - შლეგი „კატრინა“.
და, როგორც ადრე, გააფთრებული,
თბილისზე იწევს ერევნის ხანი!..
კრწანისში ბორგავს მეფე ერეკლე,
რამდენი დროა, რამდენი ხანი!..
კვლავ ამპარტავნობს სნეული რომი,
ისმის სისინი ვიღაც ავკაცთა...
ჩემი კალამი, - ბებერი ლომი! -
ჟამთა სრბოლაში უფრო გამკაცრდა.
უფრო გამძაფრდა სიმაღლე ჯვართა, -
(ძისთვის სათნოა, თუ რამ ვითმინე...),
და ვიბრძვი ისე, ვით მჭადიჯვართან
დედა ფუტკრებით ბრძოდა ქრისტინე.
ვიბრძვი და, როგორც მეომარს შვენის,
მიყვარს ეს ბურთი - ყელში გაჩრილი!..
და ვუწყი, მხოლოდ უძლურთ თუ შეშლის
დანიის პრინცის მკრთალი აჩრდილი.
ვიბრძვი და, მაინც, რადგან ქალი ვარ
და გული მიცემს ფოთოლცვენაზე, -
სევდიანია ჩემი კორიდა
და მარტო ვდგავარ ავანსცენაზე.
მე დედამიწას ვაჩუქე ლექსი, -
„სამადლობელი“ და „სიმფონია“..
მაგრამ ამ ცოდვილ დედამიწაზე
ზეობს სიკვდილი და აგონია!..
წვიმის ღამეა...წინანდლის ბაღში
კვლავ იცრემლება, ალბათ, კატინა...
გახვეულია სამყარო ალში
და ორლეანში როკავს „კატრინა“!..
რა გაათენებს ამ წვიმის ღამეს? -
ცისკრის ლოცვამდე ძლიერ ადრეა...
წვიმა უგალობს ლილისფერ არეს
ავე მარიას!..ავე მარიას!..
სამყაროვ, ხედავ, მშფოთვარე ზღვაში
ლეგა ღრუბლიდან როგორ დავეშვი?..
და ვტირი, როგორც დასჯილი ბავშვი,
მივიწყებული წვიმის ღამეში.

2005 წელი

მწიფე ბროწეულები პოეზიის კოცონთან

ვერცხლისფერი წვეთებით ინამება საყდარი,
არსად წვიმა არ არი, ქართულ წვიმის სადარი...
და, ვით წვიმის დაქალი, მეც ვმეგობრობ კოსმოსთან,
პანთეონში ვტრაპეზობ პოეზიის კოცონთან.
ცაზე ფერთაცვენაა და არ სძინავთ ვარსკვლავებს,
ლილისფერი სხივებით შლიან წვიმის ნაკვალევს.
არე ისე თეთრია, როგორც ფერი სადაფთა,
გვირილების სეტყვაა ელიავას საფლავთან...
მთაწმინდიდან ტაბიძე მთვარეს ტერფით აგორებს,
პეშვით მჩუქნის ლაღიძე ოქროცურვილ აკორდებს...
ტიციანი ზევსივით ცაზე აგებს ხარაჩოს,
ლადო აწვდის პაოლოს ბღუჯა ველურ ყაყაჩოს...
სადღაც მინდვრის შროშანებს, ლეწავს ქარი შეშლილი
და მიარღვევს შავ ზვირთებს გურამ რჩეულიშვილი...
ვაჟა ეალერსება უწესრიგოდ დაყრილებს
ყვითელ-ყვითელ მიმოზებს და პარნასის ყვავილებს, -
არც სიმაღლე აშინებს და არც მელანქოლია
პოეზიის ხელმწიფეს და ცალთვალა გოლიათს!..
იფრქვევიან სივრცეში ფერმიხდილი გამები,
დგანან კატაფალკასთან ნიკალა და გრანელი...
ო, ეს ლექსთა ზვავები! - ფანტაზია ულევი,
სისხლთან შენაზავები მწიფე ბროწეულები.
ვისთვის ლექსი ზღვაა და, ვისთვის მზე ან მეწყერი,
ფუნჯით ხატავს პეიზაჟს ღამის თეთრი ფერმწერი.
ვდგავარ ალმოდებული და, რატომღაც, მგონია,
საქართველო ზეციდან ლექსთა პანთეონია!..
უფლის ხელდასხმულია ეს ლამაზი ქვეყანა,
დაბლა ლექსთა თოვაა, მაღლა - ლურჯი ზეყანა!..
და ამ ვარსკვლავთცვენაში, ო, არ სძინავთ ამურებს,
მთვარე მიყრის უბეში წითელ-წითელ ალუბლებს...
და, ვით წვიმის დაქალი, მეც ვმეგობრობ კოსმოსთან,
პანთეონში ვტრაპეზობ პოეზიის კოცონთან.

2003 წელი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ჭიამაიები ზვიადის საფლავზე

სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში, იქ, სადაც
პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პირველად დაკრძალეს,
ჭიამაიების საოცარი სიმრავლეა, რამაც კონსტანტინე
გამსახურდია განაცვიფრა...
ჭორი და მართალი...სათნო და ავთვალი...ნაირნაირები...
ზვიადის საფლავზე გუნდად შეკრებილან ჭიამაიები...
აქ იწვა უფლისგან რჩეული რაინდი დიდად მშვენიერი,
მოკლეს და მის საფლავს ნისლივით დაედო
ფერი თქვენმიერი...
ზვიადის სიკვდილი...ზვიადის სიცოცხლე - ასგზის დანაჯერი!
თქვენ ხართ, მაიებო, პირველი საფლავის უტყვი დარაჯები...
მწუხარე ამბები...ულევი დარდები...ხან კი, საიმედო...
ნეტავი რას ეძებთ ზვიადის საფლავზე, ჭიამაიებო?..

2016 წელი, 16 მარტი

* * *

მიწაზე რომ ცოდვილობენ,
ერთი მათგანი მეცა ვარ...
როგორ მინდოდა, ძვირფასო,
შენი თვალების მეწამა.
ცას მოსწყდა ცისკრის ვარსკვლავი,
მთვარის უბეში ჩავარდა,
მზემ დამიშალა ნაწნავი,
თენდება ჩემი მარაბდა.
ქვიშაზე ბროლის სასახლე,
როდემდე უნდა ვაშენო?..
ვით მგლები - ლუკმას სანატრელს,
ისე მივლიან გარშემო!..

2002 წელი

* * *

რაჭის მთები - უსაშველოდ მაღლები...
ლურჯო მთებო, არ მიყვარხართ დღეიდან!..
მოლოდინი - უსაშველოდ დამღლელი...
შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, დეიდა!
ბედისწერის უმოწყალო ტრიალი...
შენი ცოდვით ვიწვები და, ვკვდები და...
მდინარესთან მოსახვევი ტიალი...
შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, დეიდა!
გულო, გასკდი! გულო, ამოტრიალდი!
მზეო, ჩაქრი! ჩამოემხე ზეციდან!
შენს სხეულზე მონავარდე რიონი...
შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, დეიდა!
რაჭის მთები - უსაშველოდ მაღლები...
ლურჯო მთებო, არ მიყვარხართ დღეიდან!..
წუთისოფლის უმოწყალო ტალღები...
შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, დეიდა!

2016 წელი

ლურჯია ზეცა, სანახები და ეკლესია...

ჩემს დისშვილს, ჯეკო მჭედლიშვილს, რაჭაში,
სოფელ წესთან, რიონში აღსრულებულს...
დგას ბარაკონი, ერისთავთა ციხედ ნაგები,
ლურჯია ზეცა, სანახები და ეკლესია...
ამ სამოთხეში, რომ შეგხვდება წესის ამგები,
მითხარი, ჩემო, რა ღვთის რისხვა ან რა წესია?..
მოდის რიონი, უძლეველი, მკაცრი ტოტებით,
ერთი შეხედვით, რა მშვიდია, რა ლამაზია...
გიახლოვდება ბედისწერა უცხო ტორებით
და ეს არ არის არც სიზმარი, არც ფანტაზია.
მთვარის სხივებში იძირება შენი სხეული,
მთავრდება წამის მეასედში შენი წამება...
და დაქრის ქარი უკუნეთში, როგორც სნეული,
და მოდის დიდი სიმშვიდე და...გარდაცვალება!..
რაჭაში, მთებში, ტაძარია უფლის ნაგები,
ლურჯია ზეცა, სანახები და ეკლესია...
ამ სამოთხეში, რომ შეგხვდება წესის ამგები,
რა სამსჯავროა?..რა ღვთის რისხვა ან რა წესია?..

2016 წელი, 15 მაისი

ვაშლის ბაღებში ტირის თამარი

ჩემო, ამ ღამეს ფერი დაჰკრავს ქინძმარაულის,
თითქოს ცარგვალზე მთვარემ ყელი გამოიღადრა...
მეც ამ შავბნელი პეიზაჟით ვარ ამღვრეული
და იბერიის სატკივარი მიხსნის იარას.
ჟამია მკაცრი! - და საშველი თითქოს არ არი!..
დაიქცა ქართლი! - და ყოველი, რაიც აშენდა!..
ვაშლის ბაღებში, თითქოს ტირის მეფე თამარი,
ტირის თამარი, აოხრებულ თამარაშენთან.
გავყურებ სივრცეს, მაგონდება ნაჭარმაგევი...
(სარკმლიდან მოჩანს თაბორი და ლურჯი მახათა)...
მაწამებს დიდი ისტორია ნადარბაზევის
და დაჟანგული სატევარი ამილახვართა!..
ანჩხლი ყოფილა ეს სოფელი, - გაუტანელი,
ავად მზირალი, ავგული და ოდენ ცბიერი...
ჩემი ცხოვრება არის ყოვლად აუტანელი,
ჩემი სამყარო, - უნაყოფო, უკაცრიელი.
ჰეი, მნათობნო! სად წახვედით?! რა მოგეწიათ?!
სად გაქრა თქვენი ღვთაებრივი ყვავილწნულები!..
ხედავ, სიშლეგე რა ანაზდად წამომეწია? -
თითქოს ძარღვებში უცბად დასკდნენ ბროწეულები!..
ღამეა, ჩემო? - ფერი დაჰკრავს ქინძმარაულის...
მთვარეც გაგიჟდა! - თეთრი ყელი გამოიღადრა...
და მომიტევე, რომ ესოდენ ვარ ამღვრეული,
რადგან სამშობლოს სატკივარი მოხსნის იარას!.

2008 წელი.

მაია მამუჩიშვილი

რთვლიდან აღდგომამდე

***

(ნოველა)

მაშინ,

ღვინობისთვის რთვლობა დღეს, პაპას მივყავდით ვენახში;

ყარაბულახის მიწა ქალამნად გვეცვა და ხაშმის ცა ქუდად გვეხურა.

პაპა გოდრებთან, ბაბო ჩხებთან, მამა წალამთან, დედა ბალახთან,

(თუ თქორი არ იყო, ზედ სუფრას შლიდა) და მე, ბალღს ჩემი კეთილიგოლიათი ძმა მხარზე მისვამდა, თან მამუნათებდა,სადა გაქვს საკეხურე კბილები, რას ეპოტინებიო, თან ტოტებს მიწვდიდა.

ბოლოს

თადიაანთ წყაროდან წყალი მიგვქონდა სოფელში, სადაც ორსართულიანი ქვითკირის სახლი გვედგა, სავსე საწნახლით, საფერავის ჯაგნით, ამაგით, ბადაგით, საბუდრით, ჟივილით და ამბით.

მერე

პაპა აღარ იყო, არც ბაბო. მამას მივყავდით ვენახში რთვლობას.

ისევ ვიცვამდით ყარაბულახს. მამა ყურძნის ტომრებთან, დედა ჩხებთან, ძმა წალამთან, მე ვაშლთან.

ბოლოს

ისევ მიგვქონდა თადიაანთ წყალი სოფელში, სადაც ერთსართულიანი სახლი (თუ ეთქმოდა) გვედგა, სავსე ყურძნის საწური მანქანით, საფერავის ჯაგნით, ამაგით, ბადაგით და ამბით.

ერთხელ

ჩემი კეთილიგოლიათი ძმა ჯაჭვიდან გაწყდა და აღარ იყო არც სილაღე და გული, მაგრამ ვაზის ძახილი იყო და მამას მაინც მივყავდით ვენახში, მაინც ვიცვამდით მიწის ქალამნებს, მაინც ვუჭრიდი ჩხებს ჩემს ძმიშვილებს.

ბოლოს მაინც მიგვქონდა წყარო სოფელში, სადაც ქვითკირის ნასახლარი გვედგა, სავსე შემოდგომის ნესტით, სევდის სუნით და ამბით.

როცა დედა აღარ იყო, არც მამა, ძმიშვილებს ჯიუტად მივყავდი ვენახში ჩვენი შვილებით. ჩემი ძმის შვილები (ორივენი) ყურძენთან, ჩემი ძმის შვილიშვილები (ოთხივენი) წალამთან, მე ბალახთან, თქორთან. ჩემი შვილი ვაშლს ეპოტინებოდა, ჩემი ძმის შვილი ამუნათებდა, სადა გაქვს საკეხურე კბილებიო და ტოტს უწვდიდა.

ბოლოს

ჯიუტად მიგვქონდა თადიაანთ წყალი სოფელში.

ახლა

ღვინობისთვეში არა, ვარდობისთვის აღდგომა დღეს ჩემი ძმის შვილიშვილებს მივყავართ გორაზე, სადაც სილა ვარდებიანად გვაცვია ქალამნად და ნაძვებიდან გამოჟონილი სილაჟვარდე გვახურავს ქუდად. აღარ გვაქვს შემოდგომა, საბუდარი, ჯაგანი და ამბავი. გვაქვს წითელი კვერცხები, ქვებთან სანთლები, მიწაში ჩაჟონილი ნაყიდი საფერავი და თადიაანთ წყალი, რომელიც ბოლოს ქალაქში მიგვაქვს.

როგორ შედგა უზენაეს საბჭოს დეპუტატთა სია

ქეთევან ჯერვალიძე

დღევანდელი ვაი- ექსპერტები მიმოიხილავენ რა საქართველოს ისტორიის ბოლო 20 წლეულს, მოვლენების მხოლოდ გარეგან მსგავსებაზე ამახვილებენ ყურადღებას და საკითხის შინაგან მხარეს გვერდს უვლიან ხოლმე;

1990 წლის გაზაფხულზე, როგორც კი მოხდა საარჩევნო კანონის შეცვლა (და ნურავინ იფიქრებს, რომ ეს იოლიად მიღწევადი იყო), ბატონმა ზვიადმა პერმანენტული საპროტესტო მიტინგებიდან მოხსნა ბოიკოტის პროპაგანდა და სწორედ ამ კანონის ცვლილებების ინიციატორი და ბოლომდე მიმყვანი ჯგუფი შეიერთა...

დადგა საარჩევნო სიების საკითხი. ბატონი ზვიადისა და მისი მხარდამჭერების დიდი სურვილი იყო ყველა ქართული ძალა, თვით კომპარტიიდანაც კი, ერთიანი ძალით გამოსულიყო და ეს იყო დიპლომატიური სვლა არჩევნებისკენ. ამ მიმართულებით დაიწყო კიდეც მუშაობა. მოგეხსენებათ ქართული „ელიტა“ როგორი წამხედვარი და ცნობილობაზეა დახარბებული, ამიტომ გადაწყდა, პირველად სწორედ აკაკი ბაქრაძესთან გამართულიყო მოლაპარაკებები, ვინაიდან ბატონი აკაკი თუ დათანხმდებოდა, ერთიანი საარჩევნო ფრონტი გარანტირებული იყო, თანაც ზვიადის ორი თანამებრძოლი, სწორედ ბატონი აკაკის დიდი მოყვარული და პატივისმცემელი გახლდათ. ასე რომ, ბატონი ზვიადი 1990 წლის ზაფხულში სწორედ ამ ორ პიროვნებასთან ერთად ეახლა ბატონ აკაკის წყნეთში. დიალოგი ასეთი იყო: ბატონო კაკო, თქვენ იცით, როგორ უყვარხართ ერს და იმსახურებენ ისინი ნახონ ჩვენი ერთიანობაო. თქვენ ჩაუდექით საარჩევნო სიას სათავეში და თუ მაინც ჩემი პიროვნება გაბრკოლებთ, მე საერთოდ უარს ვიტყვი კენჭისყრაზეო. ბატონმა კაკომ კი, რომ იტყვიან: ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

ამ უარის შემდეგ, ბატონ კაკოს კიდევ ორჯერ ააკითხეს და ასევე ორჯერ შესთავაზეს წინადადება. ბატონი კაკო შეუვალი აღმოჩნდა! აქედან გამომდინარე, კაკოს უარი დანარჩენი „ცნობილებისთვისაც“ სიგნალი გახდა, რომ ისინი გამსახურდიას საარჩევნო ბლოკს ახლოს არ უნდა გაკარებოდნენ. ბატონი ზვიადის საარჩევნო კომისიის ყველა მცდელობა წარუმატებელი იყო; გაცხადდა, რომ ეს „ცნობილნი“, ბოიკოტს უცხადებდნენ ბატონ ზვიადს და მისი მარტო დატოვება, არჩევნების გარეშე დამარცხება უნდოდათ. აი, სწორედ ამის შემდეგ შედგა უზენაეს საბჭოს დეპუტატთა ის სია, საშუალო ინტელიგენციის წარმომადგენლებისა, რომელნიც საშუალონი მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ არ ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ კლანს. ეს ადამიანები, მართალია, ძალიან ცნობილნი არ იყვნენ, მაგრამ არც განათლება აკლდათ, არც აღზრდა და არც გვარიშვილობა და არც არანაირი პრეტენზია დეპუტატობაზე არ ჰქონიათ. ეს პიროვნებები ფართო საზოგადოებისთვის ცნობილნიც იყვნენ და მიღებულნიც. ასე რომ, გარდა ბატონი ზვიადის უდიდესი ავტორიტეტისა და მისი ბრწყინვალე საარჩევნო კომისიის თავდადებული მუშაობისა, დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ხალხმა როს დაინახა ქართული „ელიტის“ უღირსი ქმედება, ამ „ცნობილების“ დამსახურებანი გვერდზე გადადო და ბატონ ზვიადს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. ქართულმა „ელიტამ“ სწორედ ეს ზურგშექცევა ვერ მოინელა, რის დამანგრეველ შედეგს ვიმკით დღესაც. არადა ვეხვეწებოდით, მობრძანდით, თქვენ იყავით პირველნიო!

აი რითი განსხვავდებოდა ბატონი ზვიადი „ელიტისაგან“ . მას უყვარდა ხალხი და ხალხსაც უყვარდა ის. იმ „ელიტიდან“ ბევრს ვიცნობდი პირადად და ნეტამც არ მცნობოდნენ, ნეტამც, რამეთუ იმედის ნასახი მაინც მექნებოდი , რომ ვცდებოდი, შევცდი და დამნაშავედ ვიგრძნობდი თავს.პირად კონტაქტებში ისინიიყვნენ ძალიან მცონარენი, გულნამცეცნი, ერთმანეთზე მოქილიკე-მოჭორავენი.

ეჰ, რა შრომა, რა სიყვარული დაამსხვრია შევარდნაძის კლანმა. ნუმც გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, ნუმც!

აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ მითხრა 1992 წელს: შვილო, იმ რუსებს ვერეოდი, მაგრამ მხედრიონს ვერ მოვერიე, ვინ ყოფილან ესენიო.

მართლაც, რა ქნეს რუსებმა მხედრიონელებსა თუ,ქართველ „ელიტარელებზე“ უარსი? მთელი შევარდნაძის კლანი „მხედრიონი“ იყო.

არის თუ არა გამრავლება ქართველი ერის ბუნება?

თუ მეხსიერება არ მღალატობს 1988 წელი იყო. თბილისის ახალი ფოსტა -ტელეგრაფის შენობის სააქტო დარბაზში ბატონი კაკო ბაქრაძე საჯარო ლექციას კითხულობდა. როგორც წესი, მისი ლექციები ძალიან საინტერესო იყო ხოლმე, მაგრამ რაღაც არ მომწონდა მასში. ეს არმოწონება ძირითადად ემყარებოდა ერთ ნაწყვეტს მისი ნარკვევიდან „ილია ჭავჭავაძე“ (თბ., 1984). მასში ბატონი კაკო ერთ ადგილას საუბრობს მონარქისტ გიორგი მუხრან-ბატონსა და სოციალ-დემოკრატ ივანე ჯაბადარზე, რომელთაც ერთნაირი ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს მომავლის მიმართ და ამ ფაქტს ასე ხსნიდა: მათ ერჩივნათ დროზე მომკვდარიყო საქართველო, ვიდრე მისი ტანჯვისთვის ეყურებინათო. ეს მოსაზრება არ გახლდათ ახალი, ამ განწყობილებას ჩვენ ვხედავთ ვახტანგ ორბელიანის ლექშიც, „დმანისი“: „განქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულთა შინა, ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემ თვალთა წინა“. მაგრამ ვახტანგ ორბელიანი სულ სხვა პიროვნება იყო; მისი ცხოვრებიდან გამომდინარე მე თანავუგრძნე ასეთი განწირულების გამო მას, გიორგი მუხრან-ბატონი და იავანე ჯაბადარი თანამოწლედ ვერ მხდიდნენ... ბ-ნ ბაქრაძის ასეთმა დამოკიდებულებამ და ახსნამ კი სამშობლოს სიკვდილის სურვილისა, ეგოიზმმა, ძალიან გამაბრაზა, დიდ ცოდვად ჩავუთვალე ავტორს, თუმცა, მისი საბჭოთა კავშირის დეპუტატად არჩევისთვის „სრბაჲ აღვასრულე“ მაინც. შემდეგ იმ ნაწყვეტის გამო სულ გაფაციცებული ვიყავი მის ყოველ სიტყვაზე. და, როდესაც ამ ზემოხსენებულ ლექციას ვუსმენდი, დამთავრდა თუ არა მონოლოგი და დარბაზი კითხვა-პასუხზე გადავიდა, ერთმა ჰკითხა, ქართველი ერი რომ არ მრავლდება ამაში აწევს თუ არა ცოდვა ქართველ ქალსო. ბატონი კაკო დაფიქრდა და ბრძანა: ამას მე ქართველ ქალს ვერ დავაბრალებ, ვინაიდან გამრავლება არ არის ქართველი ერის ბუნებაო. შვებით ამოისუნთქა გაბერწებულმა დარბაზმა. იმდენად გავცეცხლდი შესვენებაზე კაკოს სანახავად გავიჭერი, მეგობარი გამომყვა, გაგაცნობო, შორს დავიჭირე, არ მინდა, ეგ რომ გაიგოს, ვეღარ ვეტყვი იმას, რისი თქმაც მინდა-მეთქი. გასაუბრებაზე კაკოს უარი არ უთქვამს და ერთ მომცრო ოთახში შევედით, ალბათ, სადაც უნდა დაესვენა. მე უაღრესად მოკრძალებულად ავუხსენი, რომ ნათქვამი „გამრავლება არ არის ქართველი ერის ბუნება“ მიუღებლად მიმაჩნდა, თუნდაც ასეც რომ ყოფილიყო, დარბაზი პასუხისმგებლობისგან არ უნდა გაეთავისუფლებინა და ჩამოვუთვალე ჩვენი კლასიკოსების თუ სხვა ცნობილი ადამიანების მშობლები, ვის რამდენი შვილი ჰყავდა.

შეცბუნდა ბატონი კაკო, ამათვალიერ-ჩამათვალიერა (მასზე ბევრად მაღალი ვიყავი) და მითხრა, თქვენ შეგიძლიათ მიჰბაძოთო - დამცინა. ასეთ ცინიზმს არ მოველოდი, არც შევარჩენდი, მაგრამ ამ დროს ვიღაც ერთობ გადაპრანჭული, უშნო და დაბალი ტანის ქალბატონი შემოვიდა და გადამირჩა ბატონი კაკო...

ბატონი სერგეი სერებრიაკოვი

რუსთველოლოგი, მრავალმხრივი ჰუმანიტა-



რული მიმართულების მეცნიერი

ალბათ ყველას გემახსოვრებათ ბატონი სერგი, მისი მგზნებარე გამოსვლა კანონიერი ხელისუფლების დასაცავად. ჩვენ მეზობელ კორპუსებში ვცხოვრობდით. მე და მისი მეუღლე ნანა მათიკაშვილი დავახლოვდით

დასასრული გვ. 14

ორიოდ განმარტება ამ ვითომდა "სამამულო ომის" საკუთარზე

1945 წლის 8 მაისი — მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებას ზეიმობს, ხოლო 9-მაისი კი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „დიდი სამამულო ომის“ დასასრულად და საბჭოეთის გამარჯვებად, როგორც სტალინი ბრძანებდა „დიდი რუსი ხალხის გმირული ხელმძღვანელობით". ამით ვერაგი დამპყრობი ცდილობდა მოდერნიზებული რუსეთის იმპერიაში შემავალ დაპყრობილი ხალხებისთვის შეექმნა ილუზია, რომ ეს მათი „სამამულო ომიც“ გახლდათ და უნდა ითქვას ამ ილუზიამ იმუშავა(ბალტიისპირეთის და დასავლეთ უკრაინის გამოკლებით), განსაკუთრებით საქართველოში, სადაც სტალინის ქართული წარმოშობა ერთგვარ მაჰიპნოზირებელ როლს თამაშობდა და ზომბებადქცეული „ქართველობა“ ამაყობდა კიდეც ამით. არადა, საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილებას შეწირული სამასი ათასი გმირ (დიახ-გმირ) ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა ვერც კი ხვდებოდა რომ ისინი არაფრით განსხვადებოდნენ იმ ქართველი გმირებისაგან, იძულებით გალალულნი და სამშობლოდაპყრობილნი, არანაკლები გმირობით რომ ეწირებოდნენ: მონღოლთა, სპარსთა, თუ ოსმალოთა იმპერიის დიდებას, რომ საბჭოთა იდეოლოგიამ ისეთი „ამნეზია“ გაუჩინა ქართველთა ნაწილს, სრულიად გადაავიწყა, რომ ისინიც ქართველ მოღალატეთა ხელშეწყობით, 1921 წელს დაპყრობილ იქნენ რუსების მიერ(სამწუხაროდ ამ ფაქტორს დღესაც ვერ იაზრებს ბევრი ქართველი), რომ არავითარი მისი სამშობლო არაა და ვერც იქნება- ვერც მონღოლური ყარაყორუმი, ვერც სპარსული ისპაჰანი, ვერც ოსმალური სტამბული და ვერც რუსული კრემლი და რომ მის სამშობლოს მრავალნატანჯი საქართველო ჰქვია!

ალბათ უკვე დროა, ამ ცხრა მაისს ის ქართველნიც გავიხსენოთ, გერმანიის მხარეს როს იდგნენ დიდი გრიგოლ რობაქიძის მსგავსად, რომლებსაც ჰქონდათ იმედი, რომ გერმანელთა დახმარებით საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღადგენდნენ. ამას უკვე ახორციელებენ ბალტიისპირეთში და უკრაინაში და ჩვენ ისიც უნდა გავბედოთ და ვთქვათ, რომ მათი ბრძოლა უფრო მამულიშვილური იყო. თუ ამას გავიაზრებთ და ამას გავაკეთებთ საქრთველოს სახელმწიფოს გადარჩენის შანსი ბევრად უფრო გაიზრდება თუ არა და.... ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს! ისე კი რაც ზემოთ ვთქვი ეს საქართველოს ტრაგედიაა და სხვა არაფერი!

დიდება საქართველოს და მის უკვდავ გმირებს!

P.S მინდა თანაგრძნობა გამოვუცხადო ყველა იმ ოჯახს, ვისი წევრიც შეიწირა იმ ხორცსაკეპმა (და ისინი ჩვენდა საუბედუროდ სამასი ათასი იყვნენ), ბოლშევიკურმა ბნელეთმა „სამამულო ომი“ რომ უწოდა. სამასი ათასი კი არა, მისი ნახევრის გამოყვანაც რომ შესძლებოდა საქართველოს თავის რომელიმე ომში(აღარაფერს ვამბობ შვიდასი ათას კაცზე, რომელნიც გაიწვიეს-გარეკეს იმ ვითომცდა „სამამულო ომში"), რა დაგვამარცხებდა, რა?!!!

ამ წლეულის ცხრა მაისმა კი ჩემზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა!. ამიტომაც არც უმეცარ რუსეთუმეს, არც კვაზიმოდოს ტვინით მოაზროვნე სტალინისტს და არც სხვა მაგათ მსგავს, კი არა, არამედ შენ გეკითხები, თავი რომ მოგაქვს ყველაფერში ვერკვევიო:

_ მონღოლების, ან არაბების , ან სპარსების ან თურქების მიერ დაპყრობილ საქართველოში მცხოვრებ ქართველს, მონღოლეთის, არაბების, სპარსების ან ოსმალოთა იმპერიები უნდა ჩაეთვალა თუ არა თავის სამშობლოდ და ვითარცა სამამულო ომში, ჩვენს დიდ ბებიებსა და ბაბუებს, ნებაყოფლობით, გმირულად ებრძოლა ამ იმპერიათა ძლევამოსილებისათვის, თუ დღე-ღამ უნდა ეზრუნა რათა დაეხსნა სამშობლო დამპყრობლის მარწუხებისგან?

რასაც მიპასუხებ ნათელია, და თუ ეს ასეა, მაშინ გამაგებინე შენის „გამჭრიახე“ გონებით, რითია მათზე უკეთესი რუსეთის იმპერია, რომ მისი შექმნილი საბჭოთა იმპერია, მეორე კი არა ლამის ძირითად სამშობლოდ მიგაჩნია... მითხარი, - რუსეთი არ იყო რომ სახელმწიფოება ორჯერ წაგართვა და როგორც ერი გაგაუქმა?(რაც არცერთ დამპყრობს არ ჩაუდენია), რუსეთი არ იყო მშობლიურ ქართულს ძაღლის ენას რომ უწოდებდა და ამ ენაზე, სწავლას ვინ ჩივის, ლაპარაკსაც რომ გიკრძალავდა? განა ერთმორწმუნე რუსეთიდან არ იყო რუსი ეგზარხოსი(ქართველი პატრირქი რომ ჩაანაცვლა) ლებედევი ქართველ ერს რომ წყევლიდა? განა რუსეთი არ იყო, რომ 1921 წლიდან მოყოლებული ქართულ ინტელექტსა და გენოფონდს ფიზიკურად ანადგურებდა და ვინც კი ხმა ამოიღო და საზღვარგარეთ არ გაასწრო, ყველა დახვრიტა? განა რუსეთმა არ დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ოცდაერთი წლიდან მოყოლებული გაქუცმაცებს?

კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომ მტერში მტერი - დაუძინებელი მტერი დაინახო? განა გუშინ არ იყო, ცხრა აპრილს გაზით რომ გწამლავდნენ და ნიჩბებით გხოცავდნენ, ანდა გაგრაში ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს რომ თამაშობდნენ? სოხუმი, სამაჩაბლო? გავმეორდები და გკითხავ- რომელი ერთი ჩამოვთავალო, შემახსენე თუნდაც ერთი მეგობრობის ან მოკავშირეობის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთმა დაიცვა და უკანალში ამოსმული არ გადაგაყლაპა? ხომ ვერ მეტყვი და ვერც შემახსენებ ვერცერთს! და ყოველივე ამის მცოდნეს, მითხარი, გული კიდევ როგორ მიგიწევს მისკენ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია - ან მონა ხარ, ანდა ბრიყვი!

ახლი კი მაკიაველს მოვიშველიებ, გინდაც გეწყინოს გინდაც არ; დიდი მოაზროვნე წერდა:ერს რომელსაც სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი არ გააჩნია, მისი მართვა მარტოოდენ მათრახით შეიძლებაო!!!

მე მოვრჩი!..... მ ო ვ რ ჩ ი !!!

ჯვარზე გაკრული სიმართლენი!

ჰოლანდიაში მცხოვრებმა ფეისბუკელმა მეგობარმა დიდებულმა ქალბატონმა რუსუდან მიქიანმა მომწერა, დამღალა ამ რუსეთუმეებთან ბრძოლამ, ახლა არგუმენტად იმას მიყენებენ რომ რუსეთი რომ არა ქრისტიანობას ვით შევინარჩუნებდითო!-დემაგოგია და ტყულია! ყველაფერი პირიქითაა. რუსეთმა ჯერ იყო და თავისთან მახინჯი ფორმა მისცა ბიზანტიელების წამოწყებულ მართლმადიდებლობის ქრისტინულ მიმდინარეობას რომელიც მსოფლიო ბატონობისთვის სჭირდებოდა (რომელმაც თავად რუსულ ეკლესიაში დიდი განხეთქილება გამოიწვია), ხოლო საქართველოში შემოსვლისთანავე შემოაყოლა: მამათმავლობა, მრუშობა, ქურდობა, ლოთობა და გარყვნილების ყველა მიწიერი ფორმა და ეს ყოველივე რომ ადვილად განეხორციელებინა, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, თეთრად შეთითხნა ქართული ეკლესიების უმშვენიერესი ფრესკები, ხელი მიჰყო მის ძარცვა-რბევას(მარტო ხახულის ღვთისმშობლის ხატის განძარცვა იქნებოდა საკმარისი მათი საკაცობრიო დანაშაულის ჩადენის დასამტკიცებლად და ამ ვანდალობას სათავეში ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი და რუსი სასულიერო იერარქები უდგნენ), ზარბაზნის ყუმბარები დაუშინა ბაგრატისა და ანანურის არქიტექტურის შედევრებს, მერე იყო და მათმა ეგზარხოსმა ლებედევმა სულაც დაწყევლა ქართველი ერი, ხოლო ქართულად წირვა-ლოცვა და უტკბილესი საგალობლები თავიდანვე იქნა განდევნილი ვითარცა „ძაღლის ენაზე მყეფარი!". მოვიდნენ რუსი ბოლშევიკები და ქართველ მოღალატეებთან ერთად დაიწყეს უძველესი და უმშვენიერესი ქართული ეკლესიების ნგრევა-წაბილწვა მათი დაარსებული „უღმერთოთა საზოგადოების“ ხელმძღვანელობით თხუთმეტ ათასზე მეტი ტაძარი იქნა დანგრეული ან ტუალეტ-აბანოებად გადაკეთებული. მათ დროს მიეცა გზა იმ სიმახინჯეს რამაც(შეურწყვეს რა მართლმადიდებლობის იდეოლოგია რუსულ მესიანიზმს და მესამე რომის პოლიტიკურ ბოდვებს, რაც ხელ-ფეხს უხსნიდა მათ კოლონიალურ პოლიტიკას), მართლმადიდებლური ეკლესია მოსწყვიტეს რა საქრისტიანო სამყაროს, თითქმის რეაქციულ სექტად აქციეს და რომლისთვის ლამის უცხო ტერმინად იქცა სინონიმი „ქრისტიანობა!“ რუსმა კომუნისტებმა ათეიზმს ისეთი გაქანებები მისცეს რომ არ შეიძლება მას გავლენა არ მოეხდინა ერის კოლექტიურ ფსიქოლოგიაზე და მოახდინა კიდეც შეუცვალა რა რაინდული მენტალიტეტი კრიმინალური მენტალიტეტით. დღესაა და იგი მთელის გამალებით ებრძვის ქართულ სახელმწიფოებრიობას, ცდილობს უფრო გააღვივოს შხამად შემოპარებული მონური ფსიქოლოგია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი თავისი „ჩვეული“ პოლიტკითაა დაკავებული- ცდილობს რა წაშალოს ქართული კვალი, ამახინჯებს დიდებულ ქართულ ტაძრებს (დედა ეკლესიას ხომ მოსწყვიტა), და მთელის გამალებით მფარველობს სეპარატიზმს.... მეტი რაღა ჩამოვთვალო ისედაც დაგღალეთ ალბათ, მაგრამ დამერწმუნეთ ზემოთ ნათქვამი არგუმენტნი-ფაქტები ოკეანეში წვეთია რუსეთისა და მისი საეკლესიო პირების დანაშაულთა აღსანუსხად და თუ გადარჩენა გვიწერია ამის დროც დადგება. ერთი სიტყვით ის რაც ვერ შეძლო თემურ-ლენგმა(და არა მარტო მან), შეძლო ერთმორწმუნოების სახელით შემოსულმა მოყვარის ნიღაბამოფარებელმა მტერმა — ეს საკაცობრიო კულტურის ერთდროს ხურათმოძღვარი ერი, ლამის მონური ფსიქოლოგიის კრიმანალურ ხალხად აქცია! არ კმარა რომ გამოვფხიზლდეთ და გონს მოვეგოთ?! ეტყობა რომ არა — მაგრამ იცოდეთ, მერე გვიან არ იყოს!!!

ნოდარ კობერიძე

✠ სულთათანა ✠

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია უსამძიმრებს დიდ მამულიშვილს და ჩვენი თანამედროვეობის ბუმბერაზ პოეტს, ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილს, დისშვილის

ჯემალ (ჯეკო) მჭედლიშვილის

გარდაცვალებას და წუხილს გამოთქვამს ახალგაზრდა კაცის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

დასაწყისი გვ. 12

ხოლმე, შენ და დომუხოვსკის ცოლი ძალიან ჰგავხართ ერთმანეთსო. იმ ქალბატონს არ ვიცნობ, არ შევხვედრივარ არასდროს...ჯორჯ ორუელის ერთტომეული „1984“ и эссе разных лет“, М.,1989“ რუსულად სწორედ სებრიაკოვების ოჯახში ვნახე პირველად, მათხოვეს და წავიკითხე კიდეც... ბატონი სერგის დაწერილი თუ რედაქტირებული იყო შევარდნაძის შვილის, პაატას, დისერტაცია და საერთოდაც, ბატონი სერგის ბინა გამოძეძგილი იყო მავანთა და მავანთა უტვინო „ჩერნავიკებით", ბატონ სერგის უწევდა ხოლმე მათ მაგივრად წერა. შემდეგ ქალბატონი ნანა ემუქრებოდა იმ „ჩერნავიკების“ შემოქმედთ, გაღმა ნაპირზე დარჩენილთ და სამეცნიერო ხარისხებით მოყელყელავეთ, შევარდნაძის კლანის წევრებს, გამოგიქვეყნებთო... ვისხედით ერთად, ვკითხულობდით და ვიხოცებოდით სიცილით. როდესაც ქალბატონი ნანა მიდიოდა გერმანიაში, ვთხოვე, დაეტოვებინა ის „მარგალიტები", რაც ვერ მოხერხდა, სამწუხაროდ...

მიხეილ ჯავახიშვილი და ნოდარ წულეისკირი

საქართველოს სულისა და საზღვრების მცველები! ერთად შემყრელნი ამერისა და იმერისა! ლიხსაქეთისა და ლიხსიქეთისა!

ეს ჩვენი მარნეულია, სოფელი წერაქვი, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეპრესირებული და უსაფლავო მიხეილ ჯავახიშვილის დამბადი სოფელი. ამავე დროს ასევე დიდი ქართველი მწერლისა და ასევე რეპრესირებული ნოდარ წულეისკირის საბოლოო განსასვენებელი. ზეიმი „ჯავახიშვილობა–წერაქვობა“ 1991 წელს ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწესდა და შემდეგ აღარავის გახსენებია, ან ვის უნდა გახსენებოდა? 2015 წლის 25 ოქტომბერს აღდგა, პირველად ჩატარდა და საბედნიეროდ, მეც გახლდით იქ. ერთერთმა ორგანიზატორმა თავის გამოსვლაში ახსენა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, ბატონი ვანო თვალავაძე, მრავალშვილიანი მამა, ვანელი კაცი, რომელსაც სტუდენტები საბჭოთა პერიოდში დაჰყავდა ხოლმე წერაქვში. ბატონი ვანოს ხსენებამაც ძალიან გამახარა. ბატონი ვანო ამ ზეიმის პირველმესაძირკვლეთაგანია. ყველაფერი იყო შესანიშნავი და დიდებული. დიდი მადლობა ყველას, დიდიან–პატარიანად, ვინც ასე გაისარჯა, თუნდაც წკირი გადააბრუნა ამ დიდი საქმისთვის და ასეთი ლამაზი დღე გვაჩუქა - მიხეილ ჯავახიშვილის სულთან თანაობისა. ვგრძნობდი როგორ ხარობდა წულეისკირის სულიც, რომელმაც ამდენი იღვაწა სოფელ წერაქვისთვის, რომლის შვილიშვილი თამთა დღეს მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმის დირექტორია, მისი დიდი ბაბუასავით ცხოვრობს წერაქვში და ზრუნავს სოფელზე. ნუღარასოდეს შემწყდარიყოს აღმდგარი ტრადიცია! მომავალში, ჯავახიშვილობა-წერაქვობას, წესით წულეისკირობაც დაემატება, უთუოდ და გვექნება განსამებული ზეიმი!

ჩემი ბავშვობის მეზობელი! ავტომატმა ის „ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა“...

მე-60 სკოლაში ვსწავლობდი, აქ დადიოდა რამდენიმე ჩემი მეზობელიც, ქართველები. ერთის ოჯახის მეტყველების კულტურა საარაკო გახლდათ. ეს არ იყო დიალექტიზმები: „წვას", „ჯდას", „ჰგვამს –ჰგვის"...სახელმძღვანელოში კი გვიწერდნენ, უმართებულოა, მაგრამ მე საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მომისმენია ეგ ფორმები.

გავიდა წლები და ერთხელაც, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია- ანექსიის დაწყების შემდეგ, ჩემს სამეზობლოში, დიდი ხალხგროვა დავინახე, სულ შავ–შავი მანქანებით. ვიკითხე, რა ხდება-მეთქი? ესა და ეს კაცი გარდაიცვალაო. შევარდნაძეც კი მოვიდა პანაშვიდზეო და გვარ-სახელი მითხრეს. ყურები ვცქვიტე, რა დამავიწყებდა იმ ოროსნის სახესა და საუბარს? უზრდელების ცოცხალი ნიმუში იყო. თურმე ედპეშნიკი გამხდარა და აღარ მახსოვს, მოკლეს, თუ ავტოკათასტროფაში დაიღუპა. მთავარი ისაა, რომ ავტომატმა ის „ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა"...

ლეგიონია მათი სახელი!

რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელთა ქმედებებს 1992 და შემდეგ წლებში ნუ დავამდაბლებთ კუთხურობამდე.. საქართველოს ყველა კუთხე მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, ხოლო ქართლი და სამეგრელო პირველები იყვნენ. უბრალოდ, სამეგრელო ყვირის, ქართლი ხმას არ იღებს, იმიტომ რომ ფაქტობრივად მოსპეს.

აქ ერთი კომენტატორი წერს: სანამ ჯაბა იოსელიანი პანთეონში განისვენებს, სამეგრელო ვერ დაისვენებსო. ბატონებო, თუ ვინმემ სამეგრელოს გადაუარა, ეს პირველ რიგში რუსეთის ახალი მე -11 წითელი არმია იყო და ამ არმიის პირველი მეთაური სამეგრელოელი სიგუა გახლდათ, შევარდნაძემდე, იანაევის ოქმები რომ ვერ მოუძევებია დღემდე და გმირ მეგრელ დედებს გმირ შვილებს რომ უხოცავდა თვალწინ, ესეც სამეგრელოელი კვირაია გახლდათ; „მხედრიონის“ ტვინი სამეგრელოელი რურუა, ბალტინის ჯარების წინამძღოლი, მერე სააკაშვილის დროს რუსეთს რომ დაუწერა საქართველოს უსაფრთოების კონცეფცია, გაიხსენთ ხაინდრავები, რურუები, ბოკერია, რომელიც ნიღაბაფარებული უსწორდებოდა თბილისში მშვიდობიან მანიფესტანტებს, გაიხსენთ ხოშტარია, იტალიაში რომ გამოთვრა და მერე ავტომატიანების გვერდით დაბანცალებდა. და დღეს ის ხეპრე ხელოვნებას ასწავლის თურმე, კვარავხელია, ლენჩავა, გულუა და კიდევ ვინ მოსთვლის? ლეგიონია, ბატონებო, მათი სახელი!

მაშინ ქართლმა რაღა უნდა თქვას? წითელმა გურულ–მეგრულ–სავანურმა ბანდებმა საერთოდ მოგვისპეს ქართლი. ქართლელებმა მათი ქმდებები დასავლეთ საქართველოს დააბრალონ? თქვან, ჯერ ბერიამ ამოხოცა ჩვენი არისტოკრატია და მერე ახლა მისი კუთხიდან გამოსულმა ბანდიტებმაო? საქართველოს და მის არც ერთ კუთხეს ქვეყნისთვის არაფერი დაუშავებია, ჩვენ ვიბრძოდით თქვენს გვერდით.

ღმერთო, რა ცხოვრებით გვაცხოვრეს?

რამდენი მოწამეა სამეგრელოდან? რამხელა უბედურება მოსწიეს ამ კუთხის შვილებს, რათა საკუთარი ქვეყნის კუთხურ დაპირისპირებულებაში გადაეყვანათ? ან რა უყვეს ქართლს?!...

ბადრი გუგუშვილი – დიდი ადამიანი, ბუმბერაზი კაცი და შესანიშნავი პოეტი!

ბადრი გუგუშვილი კანონიერი ხელისუფლების მომხრე იყო, გივი რეხვიაშვილის დეიდის მეუღლე, ჩემი ოჯახის მეგობარი თავის ოჯახითურთ.

ერთხელაც, რუსთაველზე „დემოკრატიისთვის“ მებრძოლმა მწერლუკებმა პირველად დახლები რომ გამართეს გამომცემლობა „მერანის“ წინ, გამოიარა ბადრიმ და თავისი ბუბუნა ხმით უთხრა მათ: გეთქვათ, თქვე საწყლებო, წიგნით ვაჭრობა რომ გეწადათ და ჩვენი პრეზიდენტი ამის უფლებას ნამდვილად მოგცემდათ, ამისთვის აკაკანებდით ავტომატებს, ამისთვის დაღვარეთო სისხლი? იმ მწერლუკებში იყო ომარ თურმანაულიც, რომელმაც „დემოკრატია“ რომ დაამყარა, საფრანგეთში მოუსვა და დღემდე იქ არის. უნდა გენახათ იმ ბანდიტების ბოღმით გადაგლესილი სახეები, ბადრი კი იღიმებოდა კეთილად, ვინაიდან მასში ნამცეციც არ იყო ბოროტების, თუნდაც სიტყვიერად მიზღვისა. თუ შეიძლება ვინმეზე თქვას კაცმა დაბადებით კეთილშობილიო, სწორედ ასეთი იყო და ასეთად დამამახსოვრდა ბადრი გუგუშვილი, მძაფრი სამოქალაქო ლირიკის შემოქმედი.

ბუკინისტი მაგული გოლეთიანი

ბუკინისტი ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ძველ, იშვიათი წიგნებით მოვაჭრეს. შუახანს გადაცილებული ქალბატონი მაგული გოლეთიანი-ძამანაშვილი კი წიგნებზე შეყვარებული ბუკინისტი აღმოჩნდა; მას შემდეგ რაც მას კოსტავას N6-ში სახელმწიფომ ბუკინისტური მაღაზია გაუყიდა, იგი ბედს არ დანებდა და რუსთაველის N14-ში საკუთარ საცხოვრისის დიდ ოთახში გახსნა ბუკინისტური მაღაზია, ხოლო თავად კი სამ კვადრატულ მეტრ ფართის ოთახში მოიწყო საცხოვრისი და ძველისძველი წიგნების, არამარტო გამყიდველად, არამედ მცველადაც იქცა. წიგნები მისი ცხოვრებაა და როგორც საკუთარ შვილებს, ვერ ელევა მას. ჩვენ სწორედ ამ მაღაზია-საცხოვრისში ვეწვიეთ ამ მოამაგე ქალბატონს და მცირედი ინტერვიუ ჩავიწერეთ:

— წინა წლებში კოსტავას №6 -ში ვმუშაობდი. ამ ხნის განმავლობაში, ყოველთვის ვცდილობდი სტუდენტებისთვის დახმარება გამეწია. ჩემი შვილებიც მაშინ სტუდენტები იყვნენ; თავი ვალდებულად ჩავთვალე, ვისაც ყიდვის საშუალება არ ჰქონდა, სახლიდან ჩემი შვილების წიგნი მომეტანა და მეთხოვებინა მათთვის. ახლაც ბევრს ახსოვს, ალბათ. შემდეგ ის მაღაზია, სახელმწიფოს კუთვნილება იყო და გაიყიდა. ჩემმა შვილებმა იცოდნენ უწიგნოდ ვერ ვიცოცხლებდი; ერთმა შვილმა სახლი გაყიდა, მეორემ სოფელი და რაც გამაჩნდა კარგი და ძვირფასი, ყველაფერი გავყიდეთ ამ მაღაზიის გასახსნელად.

ახლა რუსთაველის №14 ვარ. წიგნები შვილებივით მიყვარს, მართალია ძნელად იყიდება, შეიძლება მთელი კვირა ვიჯდე და ერთი ცალიც ვერ გავყიდო, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ზოგჯერ, ჩემს პენსიას ვამატებ ხარჯების დასაფარავად. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებმა წიგნების კითხვა მიატოვეს და იშვიათად ყიდულობენ, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მაინც არ ვაპირებ მაღაზიის დახურვას. მითუმეტეს, ძალიან განვიცდი ბუკინისტური ლიტერატურისადმი ინტერესის დაკარგვას. ვინც შემოდის 20% წიგნების ფასს ყველას ვუკლებ, ოღონდ იყიდონ. ახალგაზრდობას, სტუდენტებს ვეხმარები. წიგნების მაღაზია ბევრმა დაკეტა, რადგან გაჭირდა წიგნებს გაყიდვა. მე სანამ ცოცხალი ვარ, არ დავკეტავ და ხალხს მოვემსახურები. როცა სტუდენტი შემოდის და იყიდის რამეს, რაც სასწავლოდ ჭირდება, სიხარულით ვივსები, კიდევ არიან ზოგიერთები, რომლებიც წიგნებს ყიდულობენ და სურთ წაიკითხონ. ეს მე ენერგიას მმატებს. თხოვნით შემოვდივარ ახალგაზრდების მშობლებთან, ჩაუნერგონ თავიანთ შვილებს წიგნის კითხვის სიყვარული, იმიტომ რომ წიგნების კითხვის გარდა მეტს არაფერს შეუძლია ცოდნის გაღრმავება და სასახელო ადამიანის შექმნა, ჩვენი სამშობლოს ღირსეულ ადამიანად ქცევა. ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის მშვიდობას და ამ მშვიდობიან ქვეყანაში მისაბაძი ხალხის გამრავლებას, ჩვენი წინაპრების სულის სადიდებლად. შეიძლება ზოგმა ადამიანმა იფიქროს, ეს მაღაზია თავისი სახლი თუ არის, ხომ შეიძლება გაქირაოს და შემოსავალი მეტი ექნებაო, მაგრამ წიგნების სიყვარული უფრო მეტია ჩემში, ვიდრე ფულის. სანამ პირში სული მიდგას და აზროვნება მაქვს, ჩემს საყვარელ ხალხს მოვემსახურები, ისე როგორც ჩემს შვილებს და შვილიშვილებს. ეზოში შემოსასვლელი რომ არა, არამედ პროსპექტის პირას იყო ეს მაღაზია, ალბათ უფრო მეტი ხალხი შემოვიდოდა და გავყიდიდი უფრო მეტს. მაგრამ ეს მარტო ოცნებაა, ცენტრალურ გზის პირას ისეთი ძვირია მაღაზიები, ეს არასდროს არ მეღირსება. იმედს არ ვკარგავ, რომ მოვა დრო, როცა ხალხი კვლავ წიგნის კითხვას დაუბრუნდება.

ასე ჩემო ძვირფასო სტუდენტებო, გისურვებთ მეტ წარმატებების მიღწევას და ბედნიერ მომავალს. მე სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგიხურავთ ამ წიგნების მაღაზიის კარებს...

ასეთი კეთილი სურვილებით და ღიმილით გამოგვაცილა ქალბატონმა მაგულიმ.

დაე, მომრავლებოდეს მას წიგნების მოყვარული ახალგაზრდები! (რედ).

ჯანმრთელობა

სასწაულმოქმედი ბაბუაწვერა: მცენარე კიბოს უჯრედებს 48 საათში ანადგურებს

მეცნიერებმა კიბოს საწინააღმდეგო რეცეპტს მიაკვლიეს, მათი მტკიცებით, ეს ბაბუაწვერას ფესვებია, რომელთაც სასწაულის მოხდენა შეუძლიათ.

როგორც უცხოური მედია-საშუალებები წერენ, კანადაში ექსპერიმენტი ჩატარდა, სადაც მცენარე გამოსცადეს და დააკვირდნენ თუ როგორ იმოქმედებდა ის ონკოლოგიურად დაავადებული ადამიანის ორგანიზმზე.

მამაკაცმა, რომელიც კიბოს 3 წლის მანძილზე ებრძოდა, ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო. ის ყოველ დღე იღებდა ბაბუაწვერას ფესვების ნაყენს და შედეგად 4 თვეში სრულიად გამოჯანმრთელდა.

ბაბუაწვერას ფესვებმა კიბოს უჯრედები გაანადგურა და ახლის წარმოქმნას ხელი შეუშალა. გასაოცარი შედეგი კი 48 საათში დაფიქსირდა.

რეცეპტის მომზადების წესი:

2 სადილის კოვზ ბაბუაწვერას გარეცხილ და დაქუცმაცებულ ფესვს უნდა დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩეროთ დაახლოებით ერთი საათით. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე.

წყარო: http://galanews.ge

Laminine - სენსაციური სიახლე ჯანმრთელობისათვის!

უნიკალური პროდუქტი!
სიცოცხლის ფორმულა!

Laminine შევიდა ამერიკის სამედიცინო ცნობარში, **PDR** მსოფლიოში ერთადერთი პროდუქტია, რომელიც აახალგაზრდავებს კანს ძვირადღირებული საცხების და ოპერაციების გარეშე.

ცია თქვენს ახლობლებს და ოჯახის წევრებს!

ჩადეთ ინვესტიცია თქვენს ჯანმრთელობაში და იცხოვრეთ ავადმყოფობის გარეშე.

თუ თქვენ გსურთ შეუკვეთოთ პროდუქტი ან გაქვთ კითხვები შეგიძლიათ დარეკოთ: **579254680, ნინელი.**

- აღადგენს ყველა ორგანოების დაზიანებებს.
- ის უძლიერესი ანტისიმსივნური საშუალებაა!
- სიბერის საწინააღმდეგო საშუალებაა.
- ლამინინს მოყავს ბალანსში მთელი ორგანიზმი!!!

პირველად ინფორმაცია გაჟღერდა ამერიკის – „American Health Journal" ჟურნალში.

ლამინინი ამერიკის ტელევიზიაში –

https:/ / www.youtube.com/ watch?v=hrOZTHXeSVO

გაუწიეთ ლამინინის რეკომენდა-

გამოყენება – პროფილაქტიკა

გულ–სისხლძარღვთა დაავადებები.

ათეროსკლეროზი, ჰიპერტონული დაავადება, ინფარქტის და ინსულტის შემდგომ სწრაფი აღდგენა, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება, ქვედა კიდურების ვარიკოზული დაავადება, ამცირებს ქოლესტერინის დონეს (ცუდი ქოლესტერინი), არგინინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სისხლის მიმოქცევის პროცესში შემუშავებულია განსხვავებული ფორმულა ლამინინი – omega+++ სპეციალურად გულ–სისხლძარღვთა სისტემისათვის, შაქრიანი დიაბეტი – არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში, იძლევა თანდათანობით ინსულინის მოხსნის საშუალებას.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები:

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ხელს უწყობს წყლულის სწრაფ შეხორცებას, გამოიყენება მეტეორიზმის, ქრ. ყაბზობის, დისბაქტერიოზის დროს, გასტრიტი, კოლიტი, შემუშავებულია ნაწლავური ფორმულა **LAMININE – DIGESTIVE+++** ღვიძლის დაავადებები ღვიძლის გაცხიმოვნების, გეპატიტი, ციროზის, სიმსივნის დროს.

კანის და კანის საფარველი – ახასიათებს მძლავრი სამკურნალო ეფექტი (ფსორიაზი, ეგზემა, ვიტილიკო, სკლეროდერმია, ნეიროდერმიტი).

ნერვული სისტემა: აუმჯობესებს მახსოვრობას, ყურადღების კონცენტრაციას, ააქტიურებს ტვინის მუშაობას, ხსნის თავის ტკივილს, არეგულირებს ძილს, ხსნის ნევროზულ მდგომარეობას, დეპრესიას, დემენცია, პარკინსონის დაავადება, ეპილეფსიური გულყრები, ბავშვთა ცერებრული დამბლა და ა. შ.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევა – საოცარ შედეგებს ავლენს ლიპიდური ცვლის დარღვევის დროს და შედეგად რეგულირდება წონის პრობლემა, იწვევს წონის კლებას ბუნებრივი გზით...

იმუნური სისტემა: – არც იმუნოსტიმულატორი და არც იმუნომოდულატორი, არამედ არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას. გენეკოლოგიური დაავადებები: – საშვილოსნოს ყელის ეროზია, მიომა, ფიბრომა, კისტა მიომა და მასტოპატია – სიმსივნური წარმონაქმნი ზომებში მცირდება სრულ გაწოვამდე. უროლოგიაში – ეფექტურად უმკლავდება პროსტატას, წინამდებარე ჯირკვლის ადენიომას, ასტიმულირებს ტესტოსტერონის გამომუშავებას.

სპორტსმენებისათვის – ამცირებს რძემჟავას წარმოქმნას, აძლიერებს ამტანობას, სწრაფად აღადგენს ორგანიზმის ძალებს ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, აუმჯობესებს კუნთოვან ტონუსს.

ონკოლოგია — აღსანიშნავია საოცარი შედეგები ონკოლოგიური პროცესების შეჩერებაში, სიმსივნური წარმონაქმნი მცირდება სრულ გაწოვამდე, ნაჩვენებია სხივური თერაპიის და ქიმიოთერაპიის შემდეგ გვერდითი მოვლენების სწრაფი კუპირებისათვის და ძალების აღდგენაში ეხმარება, ეფექტურია კლასიკური მკურნალობის ხელისშემწყობ პროდუქტად.

ჩიყვის მკურნალობა უნიკალური ფაფით - დაივიწყეთ, ექიმთან ვიზიტი

მომზადება: 100 გრამ წიწიბურას დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და მოხარშეთ. შეგრილებულს დაამატეთ 1 დესერტის კოვზი კურკუმა და 50 გრამი მშრალი ზღვის კომბოსტო. კარგად მოურიეთ და მიირთვით. ასეთი ფაფის ჭამა რეკომენდებულია ან საუზმეზე, ან ვახშამზე. მიირთვით ყოველდღიურად და ერთ თვეში გადაიღეთ ეხოსკოპია.

წყარო: http://www.etanews.ge/jansaghi-ckhovreba/17977-chiyvis-mkurnaloba-unikaluri-fafith-daivitsyeth-eqimthan-viziti.html

საოცარი შემთხვევა

1983 წელი იყო, მე და ჩემი კეთილი მეგობარი, ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების კონტრდაზღვერვის სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი ვახტანგ თულაშვილი დიღომიდან №51 ავტობუსს გამოვყევით. ავტობუსში მგზავრების სიმცირე იყო. შევნიშნე, რომ ავტობუსში სამი მაღალი, რაღაც ქართულ სისხლს შერწყმული, ახოვანი და ლამაზი მამაკაცები ისხდნენ. ინტუიციურად მომინდა მათთან გასაუბრება და შევეკითხე: ბოდიშით, ქართველები ხართ–მეთქი? მათ რუსული გვარები მითხრეს, რატომ შეგვეკითხეთ? ჩვენმა ქართველობამ ეჭვში რატომ შეგიყვანათ, განა ნაღდ ქართველებს რითი არა ვგავართო?... ჩვენი წინაპრები, ქართველების მოღალატე ტოტლებენს გამოქცეული და ერეკლე მეფის მხარეზე გადმოსული იმ ახალგაზრდა ოფიცრების შვილთაშვილები ვართ, რომლებიც საქართველოში დარჩნენ, ქართველი გოგონები შეირთეს ცოლად და ჩვენ მათი ნაშიერები ვართო.

მე სიხარულის ცრემლები მქონდა თვალებზე, გადავეხვიე სამივეს და ვთხოვე ეს სასიხარულო ამბავი ჭიქა ღვინოთი აღგვენიშნა.

მძღოლმა ავტობუსი სასადილოსთან გააჩერა და თვითონ გაგვიმასპინძლდა. წინაპრების სადღეგრძელო დავლიეთ და გავიხარეთ. განა ძნელი იქნება ქართველი ჟურნალისტებისთვის ტელევიზიით ამ ადამიანების მოძიება, მთელი საქართველოსთვის გაცნობა და მათი მოალერსება? ხოლო ვახტანგ თულაშვილის სულს ვუბოძოთ ღვთის შენდობა.

„კანტარია... კანტარია...“

საბჭოთა კავშირის გმირ, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის ამფრიალებელ მელიტონ ქანთარიასთან დაუვიწყარი შეხვედრა სოხუმში

მე და ჩემი მეგობარი გალაქტიონ ჩხაპელია, ბალტიის ზღვის სამხედრო–საზღვაო ფლოტის, ჩვენი თანამემამულის სერგო ბერიას მიერ შექმნილი ანტისარაკეტო სისტემა „ჰორიზონტ–2“ საგამომცდელო კომისიის წევრები ვიყავით და შვებულებით შინ ვბრუნდებოდით. სოხუმს, რომ მივუახლოვდით გალაქტიონმა მთხოვა სოფელ ილორში მის ოჯახს ვწვეოდი. თხოვნაზე უარი ვერ ვუთხარი, ამასთანავე ილორის ეკლესიის მონახულებაც ძალიან მსურდა. ბატონი ხუმპუს ოჯახმა და მთელმა სოფელმა ქართველებისთვის ჩვეული პატივი მცეს, მაგრამ სენაკში ჩემი ოჯახიც მიცდიდა. დავემშვიდობე მასპინძლებს და სოხუმის რკინიგზის სადგურზე მატარებელს დაველოდეთ. მალე ვიღაც საკმაოდ ნაცნობი სახის მამაკაცი მოგვიახლოვდა და რახან სამხედრო მეზღვაურის ფორმაში ვიყავით, რუსულად გაგვესაუბრა და გვთხოვა, მე მელიტონ ქანთარია ვარ, შვილს ვაცილებ ჯარში და აქვე რესტორანში დამილოცეთო. მობოდიშებით უარი შევკადრე – მატარებელს ველოდები, სახლშიც მელოდებიან და სენაკის სადგურზე მოვლენ ჩემები–მეთქი. მელიტონმა ქართული სიტყვები რომ გაიგონა ჩვენგან, გაუხარდა და გვითხრა: ერთი ჭიქით მაინც დამილოცეთ, მატარებელზე არ დაგაგვიანებინებთო.

დისპეჩერმა, მატარებლის ერთ საათზე მეტის დაგვიანება გამოაცხადა. ამ ხნის განმავლობაში მელიტონმა ბერლინში მომხდარი უცნაური მამაშვილობის ამბავი გაიხსენა: ცხელი ლულებიანი მეომრებით დატვირთული ათასობით მანქანებით ყოველი მხრიდან შევესიეთ ბერლინს. ტყვიების გრძელ მწკრივს ვუშენდით უკლებლივ ყველაფერს. ერთხელ გარაჟის კარი შევაღე სწრაფად. ჩემმა მეგობარმა გენადიმ კი ავტომატის ლულა მიუშვირა და წამის მეათედში უნდა დაგვეცხრილა იქაურობა, მაგრამ რაღაც მომელანდა, მე ლულაზე ხელი ავუკარი და სიკვდილს გადავარჩინე ცოლს და ორ პატარა ვაჟიშვილს გადაფარებული ოჯახის მამა. ავტომანქანის ძარადან მეძახოდნენ მეომრები ქანთარია... ქანთარია, ჩქარა. ავტოსადგომიდან გამოიხედა ჩემს მიერ გადარჩენილი ოჯახის მამამ და დაიმახსოვრა ჩემი, მისი ოჯახის მხსნელის გვარი. ის გერმანელი მამაკაცი მხატვარი ყოფილა. ასულა სახლში და რომ არ დავიწყებოდა სასწრაფოდ დაუხატავს ჩემი სახე. ორ დღეში ბერლინიც გავსებულა ქანტარიას სურათებით. 8 თუ 10 წლის გასვლის შემდეგ სოხუმში სამთავრობო პლაჟის სანაპიროს სკამზე ვზივარ, ზღვაზე ძლიერი შტორმია. თვალუწვდენელ სიშორეზე ვიღაცა „გადარეული“ ტალღებთან მედგრად მოემარი მამაკაცი მოჩანს, როცა ნელ–ნელა მოუახლოვდა ნაპირს იური გაგარინი შევიცანი. მან შორიდან მიცნო და მეგობრულად ხელი დამიქნია. ჩავეხუტეთ ერთმანეთს, სკამზე დავჯექით. საღამოს, ვახშამზე რესტორანში დამპატიჟა, მე ვიწყინე. როგორ შენ ჩემი სტუმარი ხარ და შენ მპატიჟობ–მეთქი? კარგი, კარგი ერთ დღეს მე ვიქნები სტუმარი, მეორე დღეს შენო. მე მთელი ორი კვირა ვიქნები სოხუმში და თავსაც მოგაბეზრებ იცოდეო. კი არ მომაბეზრებ შენი სტუმრობით, არამედ ოჯახშიც მეწვევი და ბედნიერი ვიქნებითო.

ამ დროს პანსიონატის ეზოში შემოგრიალდა ტურისტებით სავსე დიდი ავტობუსი და ნაპირს მიუახლოვდა. მგზავრები ჟრიამულით გადმოვიდნენ, ერთი გოგონა ამ შტორმიან ტალღებში საკმაოდ შორს შეცურდა. დაიღალა, დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ ნაპირზე ვერ გამოდის. ტურისტები შველას ითხოვენ. გაგარინი ელვის სისწრაფით გადაეშვა ტალღებში და შეშინებული გოგონა ადვილად გამოიყვანა. მე და იური ვზივართ სკამზე, იგი ტანს იმშრალებს. ამ დროს მოხდა დაუჯერებელი სასწაული; ტურისტებს გამოეყო ქალი და მამაკაცი, ისინი ჩვენსკენ იშვერენ ხელს. მე ვუთხარი იურის, შენი ვაჟკაცობის მადლიერები არიან–მეთქი, არა შენსკენ იშვერენ ხელსო. ისინი მოგვიახლოვდნენ და გერმანულად გვითხრეს რაღაცა, ერთ წუთს დამაცადეთო, ხელით მიგვანიშნა მამაკაცმა. მიირბინა ავტობუსთან, ჩემოდნიდან გამოიღო ტილო და გერმანიაში მის მიერ დახატული ჩემი სურათი მომაწოდა. ათასი მადლობა მითხრეს. იმ საღამოს იური გაგარინი და მთელი ავტობუსის ტურისტები დავპატიჟე სახლში და შემდეგ წლებში ისინი ხშირად მსტუმრობენ ოჯახში. ქართველი კაცის ავტომატის ლულაზე ერთმა ხელის უბრალოდ აქნევამ გადაარჩინა მადლიერი გერმანელების ეს ოჯახი.

აი, ერთი პატარა ხელის აქნევის აქტს, რამდენი სიკეთის გაკეთება შეუძლია ქვეყნად!

ბორის გოგია

დათო ცინდელიანის ხსოვნას

დიდი გალაკტიონი ბრძანებს: „ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“ – და ჩვენ ვერ დავაფასეთ კაცი, რომელიც ხატვითა და ლექსებით დაეშვა დედამიწაზე. ის იყო სამყაროს მშვენიერებას მინდობილი, რომელიც საკუთარ თავში გრძნობით განიცდიდა ყველაფერს ბუნებაში, თუ ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

დათო ჩვიდმეტი წლის იყო, როდესაც თბილისში ჩამოვიდა. მასთან თავისუფლად შეიძლებოდა მაღალ მატერიებზე საუბარი. ისე ღრმად ჰქონდა შესწავლილი და გათავისებული თავისი კუთხის უძველესი ტრადიციები, რომ შეიძლება ითქვას მისი ცხოვრების ორგანული ნაწილი იყო. ფლობდა და იცნობდა სვანური ხელოვნების ნიმუშებს თავისი არქაული მოტივებით. ის ყველას ხიბლავდა დახვეწილი მანერებით, აზროვნებით და გარეგნობით.

ასაკით პატარა, მაგრამ სულიერად საკმაოდ ამაღლებული ჩამოსვლისთანავე ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, გამოდიოდა მიტინგებზე სიტყვით. თავისი საკუთარი აზრი გააჩნდა ეროვნულ მოძრაობაზე და მის ლიდერზე – ზვიად გამსახურდიაზე – ეს ყველაფერი ყრმობიდანვე მწიფდებოდა მის პიროვნებაში. პედაგოგების ოჯახში აღზრდილს, არ უჭირდა აზრების დალაგება. მის ბავშვობას გრიგალივით გადაუარა აფხაზეთის ომმა, პირველმა დევნილეობამ. საკუთარი თვალით იხილა განაწამები ადამიანები, როცა ამ ამბებს ყვებოდა, ცრემლები მოადგებოდა თვალებზე და ჩუმად ამოიწმენდდა.

შემდეგ უკვე ზრდასრულს დიდი ტკივილი მიაყენა კოდორის ხეობის დაკარგვამ. ისევ ომი, ისევ დევნილობა. ამჯერადაც მისი ოჯახი იყო ლტოლვილების, გატანჯული ადამიანების თავშესაფარი. ის გაშმაგებული იყო ბოლოდროინდელი მოვლენებით. აუცილებელი არ არის ადამიანი გენიოსი იყოს, მაგრამ ბრძენი უნდა იყოს საკუთარი გრძნობების, აზრების გამოხატვაში. ის ამას გამოხატავდა ზუსტად თავისი იდუმალი ხასიათით. სწორედ მისმა ასეთმა ხასიათმა განაპირობა ისეთი საბედისწერო შემთხვევა, რომელსაც სახელიც კი არ ჰქვია.

რაც შეეხება, მისი ცხოვრების სტუდენტობის ნაწილს, ძალიან საინტერესო იყო შემოქმედებითი თვალსაზრისით. ძალიან ბევრს მუშაობდა ბიბლიოთეკებში, ხვეწდა თავის ცოდნას, აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალ–გაზეთებში, სადაც საკმაოდ საღ ანალიზს აკეთებდა. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ქართველი სტუდენტობა ბრანდენბურგის მხარის წარმომადგენელს შეხვდა. დათომ იმდენად საღი და რეალური კითხვები დასვა, აღფრთოვანებულმა სტუმარმა მასთან შეხვედრა მოითხოვა. რამოდენიმე თვეში მოწვევაც მიიღო გერმანიიდან. უნდა გამგზავრებულიყო სასწავლებლად, მაგრამ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ჯერ აქ დაესრულებინა სწავლა და შემდეგ გაეგრძელებინა საზღვარგარეთ. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიპლომატიის სპეციალობით. ვაი, რომ გზა არსაით იყო. საბოლოოდ ცივი ადამიანების გარემოცვაში მოხვდა და მათი მსხვერპლი გახდა კიდეც.

ჩემო დათო, ახლა შენ ამ ქვეყანაშიც ხარ და იმ ქვეყანაშიც. შენ და შენი მშობლები ახლაც ერთად ხართ დავანებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ დღეს ძალიან უჭირთ, გალიიდან გადმოფრენილ ჩიტებს გვანან და არ იციან რა გზას დაადგნენ. შენნაირი ადამიანი არა მარტო მშობლებისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც ფუფუნებაა – ნორმალურ გარემოში ზღვის ცხოველებს კი არ უგდებენ დასაგლეჯად, არამედ ძეგლებს უდგამენ. ვიქტორ შკლოვსკის სიტყვები ზუსტად შეესაბამება შენს ბედს: „მიცვალებულები ყოველთვის როდი წვანან საფლავებში„–ო.

შენს მშობლებს ექვსი წელი არ ეუბნებოდნენ ცოცხალი იყავი, თუ გარდაცვლილი. დიდ პროეტს დავიმონმებ: „რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან“. – ამ სიჩუმით ისინი განადგურებულები არიან.

ქედს ვიხრი შენი დიდი განათლებისა და ადამიანობის წინაშე. მოგმართავ, როგორც ცოცხალს დიდი პატივისცემითა და მოწიწებით.

ასმათ ფიფია

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, თქვენი არსებობა და მდგომარეობა საყოველთაოდ ცნობილია. ბევრი მსმენია თქვენს მიერ გაწეულ კეთილ საქმეებზე, თუნდაც, თქვენი მშობლიური საჩხერის შესახებ და მთელ საქართველოშიც... სამწუხაროდ, შემწუხებელიც ბევრი გეყოლებათ, რამეთუ დაუნგრიეს ხალხს ცხოვრება. თქვენამდე ალბათ, ყველაფერი არც აღწევს.

საქართველოს არაერთი უანგარო ქველმოქმედი და მეცენატი ახსოვს – სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები და სხვანი და სხვანი – სიკეთე ადამიანის დიდი კეთილშობილებაა, რომელიც არ იკარგება, რამეთუ კეთილი საქმეების მკეთებელი ღმერთისგან დალოცვილია.

ბევრი ლაპარაკი არად ღირს. მინდა პირადად ჩაგაყენოთ საქმის კურსში და პასუხიც უშუალოდ თქვენგან მივიღო, რადგან მეეჭვება თქვენამდე აღწევდეს მთხოვნელთა ყველა ბარათი...

ბატონო ბიძინა, მე გახლავარ პიროვნება ცხოვრების ავ-კარგით გამოცდილი. ვმუშობდი საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტში – ტელეფილმების სტუდიაში რეჟისორად. რამოდენიმე სრულმეტრაჟიანი ფილმის მეორე რეჟისორი გახლავართ, მათ შორის, ვფიქრობ, საკმარისია დავასახელო „თუში მეცხვარე“. დამოუკიდებლად გადაღებული მაქვს რიგი ფილმები – „სახალხო არტისტი“, რომელიც ცნობილ სახალხო არტისტსა და საზოგადო მოღვაწეს გიგა ჯაფარიძეს მიეძღვნა, სრულმეტრაჟიანი მუსიკალურ–ეთნოგრაფიული ფილმი რაჭაზე – „მაღლა მთას მოდგა“ და ა. შ. ბოლოს, 1991 წელს ვმუშაობდი ორსერიან დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც ეძღვნება ეროვნულ გმირს – მერაბ კოსტავას, მაშინდელი ავადასახსენებელი მოვლენების გამო დარჩა დაუსრულებელი.

იმავდროულად, როცა მერაბ კოსტავას ფილმის გადაღებებზე ვმუშაობდი და მოვიარე ციმბირი, გადაღებები მქონდა საჩხერეშიც, სადაც ვიღებდი ფილმს აკაკი წერეთელზე, რომლის საიუბილეო თარიღიც იმ ხანად ახლოვდებოდა, სამწუხაროდ, ეს ფილმიც დაუსრულებელი დარჩა.

მე „ქართუ ჯგუფს“ მივმართე განცხადებით იმ იმედით, რომ დამეხმარებოდით და დამასრულებინებდით ფილმს აკაკი წერეთელზე, რომლის გადაღებები დასრულებულია, მაგრამ არის ფილმის სრულყოფილებამდე მისაყვანი სხვა სამუშაოები, რაც დიდ თანხას არ საჭიროებს. ბევრმა მირჩია და მიბიძგა მომემართა თქვენთვის, მაგრამ ერთი წლის ლოდინის შემდეგ უდიერი, დაუსაბუთებელი პასუხით მომიშორა იურისტმა ვინმე მერაბიმ, რომლის გვარი არ ვიცი.

თქვენს „ქართუ ჯგუფს“ ასევე მოკრძალებული თხოვნით მომართა ბატონ გიგა ჯაფარიძის ოთხმოცი წლის კეთილშობილმა მეუღლემ, ელენე შარაბიძემ, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ახალგაზრდა ვაჟიც, ეს ორივე უბედურება ერთ წელში დაატყდა თავს. ისიც „აცდუნეს“ და მოწიწებული თხოვნა შემოიტანა თქვენთან, ყველა ინსტანცია მოვლილს ერთადერთ იმედათ ესახებოდით და ითხოვდა რას? – გიგას სახლ–მუზეუმს სახურავი აქვს დაზიანებული, წვიმა ჩადის, აფუჭებს უნიკალურ ექსპონატებს. აი, ამისთვის ითხოვდა სულ სამი ათას დოლარს, ან ორს მაინც და... კვლავ უდიერი პასუხი.

მართალი გითხრათ, გაოცებული ვარ. არცერთი თხოვნა პირადული არ არის. ორივე თემა ეროვნული და საზოგადოებრივია. მაშ, რაღას ჰქვია ქველმოქმედება? ძალიან მიჭირს, ბატონო ბიძინა, დავიჯერო რომ ყოველივე ფარსია, როგორც ყველაფერი დღეს საქართველოში. ნუთუ მართლა აღარავის ჭირდება და აღარავის აინტერესებს აღარც აკაკი, აღარც ილია, შოთა, ზვიადი, მერაბი და სხვა ჩვენი ღირსებანი, ნუთუ მართლა დასამარდა ერის სულიერება და მხოლოდ იქ ხდება ფულის დაბანდება, საიდანაც მოგება მიიღება? ნუთუ ყველა ერთად გადაგვარდა? ვიტოვებ იმედს – თქვენამდე არ აღწევს ყველა განცხადება, რომ არც ამ წერილში მოტანილ განცხადებებს მოუღწევია თქვენამდე თორემ, ყველა, ყველა და საჩხერელი კაცი უარს ვერ იტყოდა აკაკიზე. ეს რომ ასე არ მჯეროდეს, ამ წერილს არც დავწერდი. მსურს თქვენგან მოვისმინო პასუხი დადებითი თუ უარყოფითი, თუ თქვენი ყურადღების ღირსად ჩამთვლით.

პატივისცემით,

დოდო ჩალაძე

2006 წელს,ბატონი ბიძინასადმი გაგზავნილი ეს წერილი დაიბეჭდა მცირედი შემოკლებით (რედ).

მეწყვეტილი ფილმი მერაბ კოსტავაზე...

1991 წელს საქართველოს ტელეფილმების სტუდიამ წარმოებაში ჩაუშვა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ჩვენი ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ცხოვრებას ეძღვნებოდა.

გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელობა და ფილმის რეჟისორობა მე – დოდო ჩალაძეს დამეკისრა.

ფილმის კონსულტანტი გახლდათ ბატონი ზვიად გამსახურდია.

ფართო იყო ჩვენი სამუშაო სივრცე. გადავწყვიტეთ, ჯერ ციმბირის ობიექტები გადაგვეღო. მაისში, მოსკოვიდან პერმში გავემგზავრეთ, პავლოვკაში სადაც პოლიტპატიმართა ციხე გადავიღეთ. ირკუტსკი, ანგარსკი, ტაიშეთი, კვიტოვი – მივყვებოდით მერაბის გავლილ გზას. იქაც ნათელი კვალი გაევლო, თურმე, ყველას ახსოვდა კოსტავა, სიყვარულით და პატივისცემით იყო მოსილი მისი სახელი.

საოცარი ის გახლდათ, რომ თავად პროვოკატორმა კლინგმაც ვერ გვითხრა უარი ინტერვიუზე. ეს ის კლინგია, ვისი დადგმული პროვიკაციული სპეკტაკლით ხუთი წლით შეაბრუნეს მერაბი ციხეში „ხულიგნობის“ მუხლით.

ციმბირში გადასაღები ყველაფერი გადავიღეთ. თბილისში მისი დაკრძალვის ცერემონიალიც გადაღებულია, რვა ოპერატორი მუშაობდა გადაღებებზე.

ფილმის ოთხმოცი პროცენტი ფირზე გვაქვს, მაგრამ 1991–92 წელს ერის მომავალს ჩვენივე ხელით დანა ჩავეცით, სიხარბემ, ამპარტავნებამ, შურმა, გონის სიბეცემ სძლია ერთგულებას. მერაბი, კარგა ხნით ადრე მოვკალით, ზვიადი ჯერ ქვეყნიდან გავაძევეთ და მერმე ისიც მოვკალით.

ფილმზე მუშაობა შევწყვიტე და პროტესტის ნიშნად (ათასგვარი მიზეზის მოშველიებით) სამსახურში აღარ მივლია. მეგონა, ვინმე მაინც მომბაძავდა, მაგრამ ამაოდ!

ივნისის თვეში დავბურუნდი სამსახურს. მაშინ მომთხოვეს ფილმის მასალის ჩვენება. ჩვენებას ულტიმატუმი მოჰყვა: მხოლოდ მაშინ შევძლებდი მასალაზე მუშაობას, თუ მერაბი გმირად იქნებოდა წარმოჩენილი (რაც სრული ჭეშმარიტება გახლდათ), ხოლო ზვიადი კი ლაჩრად. მერაბი – ნათელი პიროვნება, ზვიადი - ბნელი. ეს სჭირდებოდა შევარდნაძის აგენტურას, მის ტელევიზიას, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელი გახლდათ. იყო მუქარაც და ფულის შემოთავაზებაც...

ვერ დამიყოლიეს. სხვანაირად არც შემეძლო რადგან, თავად მერაბის, ამ უღალატო კაცის სულისთვის უნდა მეღალატა – ქრისტეს მიერ ძმათა შორის ერთ–ერთი ლაფში უნდა ამომეთხვარა და მეორე განმედიდებინა. ამგვარი „განდიდება“ მერაბის სულის წარმოუდგენელი შებღალვა იქნებოდა.

ჩემთვის სტუდიის კარი მჭიდროდ დაიხურა. სტუდიის დირექტორი მანანა შევარდნაძე გახლდათ.

დღემდე უფლებააყრილი ვარ.

2003 წელს სტუდია გააუქმეს, ხალხი ქუჩაში გაყარეს, არავინ იცის, სად გაქრა სტუდიის ქონება და რაც მთავარია, უკვე გადაღებული სამუშაო მასალები, მიღებული სცენარები. ნეგატივის საცავები გატეხეს.

რევოლუციონერმა ვანდალებმა გული იჯერეს კინოსტუდიის რბევით.

შენობა ნაწილ–ნაწილ გაყიდეს. ვისაც კი სინდისმა ნება დართო, ყველამ მოითბო ხელი, მაგრამ ცნობილია, რომ ღვარძლთან ერთად ხორბალიც ხაროობს, ერთ გონიერ ადამიანს, როგორც კი შეეძლო, გაუტანია ფირები და მისთვის საიმედო ადგილი მიუჩენია. ჩემი ფილმის მასალაც იქ არის, მაგრამ მე ხელი არ მიმიწვდება, რომც დავიბრუნო, სად არის სამუშაო ბაზა, სად არის საჭირო სახსრები?...

ვის ახსოვს სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული გმირები, გმირები, რომელთაც არ დაუზოგავთ არც საკუთარი სიცოცხლე, არც ოჯახი, რომ ერს მომავალი ჰქონოდა.

ტელეეთერი ყველაფერს იტევს, მხოლოდ ნამდვილი კაცისთვის, ზნეობრივი პიროვნებისთვის ვერ იძებნება ადგილი მასში. მერაბის და ზვიადის ნაცვლად სხვა ღირებულებებით წაილეკა მედეა–სივრცე.

იქ, ბორითთან „შემთხვევით“ მომხდარი კატასტროფა დღემდე იკრებს ძალას, რუსთაველზე გავარდნილი პირველი ტყვიაც დღემდე გლეჯს ქართულ მიწას და ქართულ სულს.

ჩვენივე ქვეებუდნობით თუ საბოლოოდ არ წავშალეთ ქართული მოდგმა, ცოტანი მაინც თუ გადაურჩა ამ სულიერ და ხორციელ ჩეხვას, ხომ გაჩნდება კითხვა: სულ ეს იყო ჩვენი კაცობა, ნუთუ ერთი ნათელი პიროვნება არ ჰყოლია მეოცე საუკუნის საქართველოს, ნუთუ მხოლოდ ბნელმა მოიცვა და დაიმონა უკლებლივ ყველა?

რა ვქნათ, დავუმალოთ მომავალ თაობას, რომ გვყავდა ნათელი პიროვნებები, მაგრამ ჩვენვე ვსპობდით ტყვიით, ცილისწამებებით, ზოგს დუმილით და ამ სამი ვერაგული ხერხიდან ერთიც არ დაგვნანებია. ჩვენი უილაჯობით ტყვიისგან თუ ვერ დავიფარეთ ჩვენი ზნეკეთილი გმირები, დავიწყების ბურუსი მაინც გავფანტოთ, მომავალ თაობას სანთლად და იმედად მაინც დავუტოვოთ მართალთა საქმეები.

გულახდილად ვამბობ: სიკეთის არნაირი იმედი არა მაქვს, მაგრამ ამბობენ იმედი ბოლოს კვდებაო და მეც ხავსს ვეჭიდები – იქნებ გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც გაიღებს სახსრებს, რითაც შეგვაძლებინებს ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი დაწყებული საქმე.

ამით ჩვენი გადამღები ჯგუფი და, რაც მთავარია, დამფინანსებელი, მომავალ თაობებს ერისადმი თავდადების, თავგანწირვის, მაღალი ზნეობის და სპეტაკი მეგობრობის დიდ მაგალითს გადაურჩენს.

სხვებიც გამოჩნდებიან სიმართლის მთქმელნი ფუნჯით თუ კალმით, ფილმით თუ მოუსყიდველი კვლევით შემოუნახავენ მომავალ თაობებს უტყუარ, ნამდვილ გმირებს და ღირსების გრძნობაც გაღვივდება ერში. ღირსებისა, ურომლისოდაც, როგორც ცალკე ადამიანის, ისე ერის გადარჩენა შეუძლებელია.

ეს არ არის ლუკმა-პურისთვის ღაღადი.

ვისაც გული გერჩით და შეძლება მოგდევთ გაიღეთ მოწყალება ღირსებისთვის!!!

მომავალ თაობას სანთლად და იმედად, მისაბაძად დავუტოვეთ მართალთა საქმეები.

დოდო ჩალაძე

ტელეფილმების სტუდიის რეჟისორი

მხატვრობა

ჯუდით (ნათლობის სახელი ივდითი, მონათლულია მართლმადიდებლურად, თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში) ქინიონეს-აფხაზავა დაიბადა ესპანეთში, ბარსელონაში 2006 წლის 12 თებერვალს. უყვარს ხატვა, წერს ლექსებს და ნოველებს ესპანურად. ცეკვავს, უკრავს და მღერის, აქვს ჯარგი სპორტული მონაცემები. ძალიან უყვარს საქართველო და ჯარგად ლაპარაკობს ქართულად. არის საუკეთესო მოსწავლე. სწავლით და სიბეჯითით გამორჩეულია მის კლასში.

რაკრომ ინთება ხატის წინაშე კანდელი

პირველ რიგში იმიტომ, რომ რწმენა ჩვენი სინათლეა. ქრისტემ თქვა: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ (იოან. 8,12). კანდელის შუქი იმ შუქს მოგვაგონებს, რომლითაც მაცხოვარი ჩვენს სულებს ანათებს.

მეორე, იმისათვის, რათა შეგვახსენოს იმ წმინდანის ნათელი ზნეობის შესახებ, ვისი ხატის წინაშეც ჩვენ კანდელს ვანთებთ. რამეთუ წმინდანები „ძედ ნათლისად“ (იოან. 12,36) იწოდებიან.

მესამე, იმისათვის, რომ ჩვენი ბნელი საქმეების, ბოროტი სურვილებისა და ზრახვების გამკიცხველად გვემსახუროს, დაგვაყენოს წმინდა წერილის ნათლის გზაზე, რათა უმეტესი თავგამოდებით ვიზრუნოთ მაცხოვრის მცნებათა აღსრულებისათვის; „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი“ (მათ. 5,16).

მეოთხე, რათა გახდეს იგი ჩვენი მცირე მსხვერპლი უფლისადმი, რომელმაც თავი თვისი მსხვერპლად გაიღო ჩვენთვის. მცირედით გამოვხატოთ უდიდესი მადლიერება და ნათელი სიყვარული მისადმი, ვისაც ჩვენს ლოცვებში სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ხსნას შევთხოვთ – ყველაფერ იმას, რისი მოცემაც მხოლოდ უსაზღვრო ზეციურ სიყვარულს შეუძლია.

მეხუთე, – რათა დავაფრთხოთ ბოროტი ძალები, დროგამოშვებით თავს რომ გვესხმიან, ზოგჯერ ლოცვის დროსაც და ჩვენი ფიქრები შემოქმედიდან სხვა რამეზე გადააქვთ. რადგანაც ბოროტ ძალებს უყვართ წყვდიადი, სინათლის დანახვაზე კი თრთიან, განსაკუთრებით იმ სინათლისა, ღმერთს და მის წმინდანებს რომ ემსახურება.

მეექვსე, – რათა ჩვენში თავგანწირვისაკენ ლტოლვა აღძრას, მსგავსად იმისა, თუ როგორ იწვის კანდელში ჩვენს ნებას დამორჩილებული ზეთი და პატრუქი, დაე ასევე იწვოდნენ სიყვარულის ალით ანთებული ჩვენი სულები ყველა სატანჯველისას უფლის ნებას რომ ემორჩილებიან.

მეშვიდე, – რათა შეგვახსენოს რომ, როგორც კანდელის ანთებაა შეუძლებელი ჩვენს დაუხმარებლად, ასევეა ჩვენი სულიც, ის ჩვენი შინაგანი კანდელია, და მისი ანთება ღვთიური წყალობის წმინდა ცეცხლის გარეშე, რაც არ უნდა აღსავსე იყოს სათნოებით სული, წარმოუდგენელია. რადგან ჩვენი სათნოებანი ის საწვავია, რომელსაც უფალი თავისი ცეცხლით აღანთებს.

წმინდა მღვდელმთავარი
ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი)
„მისიონერული წერილები“ (წერილი 18), თბილისი, 2005 წ.
წყარო:http://zneoba.ge/2016/02/17/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%

შეცდომა პირჯვრის წერისას და რამდენი სანთელი უნდა დაანთოთ ეკლესიაში

პირჯვრის გადასახვა და სანთლის ანთება ნებისმიერი მართლმადიდებლის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. თუმცა ხშირად ადამიანები პირჯვარს შეცდომით ისახავენ - ხელი მხრებთან კი არ მიაქვთ, არამედ სადაც მოხვდებათ, იქ იდებენ. სანთლის ანთების დროს ზოგს ჰგონია, რომ წყვილი უნდა დაანთოს, ზოგს კენტი რაოდენობა ჰგონია სწორი. შეიძლება ეს ყველაფერი წვრილმანად და უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოთ, თუმცა ამ ყველაფერს თავისი წესი აქვს, რომელსაც სწორად შესრულება უნდა.

გვესაუბრება წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ღვთისმეტყველების მაგისტრი, წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, მღვდელ-მონაზონი ანდრია (სარია):

- ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს მარჯვენა ხელის სამი თითით მართებს პირჯვრის გამოსახვა. ვაერთებთ ცერა, საჩვენებელსა და შუა თითს ნიშნად იმისა, რომ გვწამს წმინდა სამება: მამა, ძე და სულიწმიდა; ორ დანარჩენს კი - ნეკასა და არათითს ხელის შუა გულზე ვიდებთ, ქრისტეს ორ ბუნებოვნების - ღვთაებრივის და კაცობრივის, - სიმბოლოდ. მოხრილი თითები მიგვანიშნებს ღვთაებრიობაზე მაცხოვრისა, რომელმან მოსდრიკა ზეცა და განკაცდა დედამიწაზე. აღმართული თითები კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვრის ამაღლებაზე მიანიშნებს. როგორც პირჯვრის საწერი თითების წყობა, ასევე მათი მოძრაობის მიმართულება, ზემოდან ქვემოთ, შემდეგ კი მარჯვნიდან მარცხნივ.

- შეცდომით გადასახული პირჯვარი არ ითვლება პირჯვრის წერაში?

- წმინდა მამათა განმარტებებით, პირჯვრისწერა აღნიშნავს ჯვარცმული ქრისტეს და წმიდა სამების აღიარებას. გონება, გული და სხეულებრივი გრძნობა იწმინდება პირჯვრის გამოსახვით, ადამიანი შინაგანი რწმენით გამოქარგავს გარეგანს.

ეკლესიის მამებმა ჩამოაყალიბეს მართებული სახე, თუ როგორ უნდა ვიწერდეთ პირჯვარს, ღმერთს რა სახით მივმართოთ და ა.შ. ქრისტიანი ამ ყოველივეს სწავლობს. არასწორად აღსრულება უცოდინრობით უნებლიე შეცდომაა და გამოსწორდება, მაგრამ შეგნებული ცდომილება სხვა რელიგიასთან ან კონფესიასთან „დაგვაახლოვებს". უფალი გულს ხედავს და იწირავს, თუმცა გარეგნული ფორმა აუცილებელია. დამახინჯებული ქმედება არასდროს არ მიეთევლება ადამიანს შესრულებაში.

- რას გამოვხატავთ პირჯვრისწერით, ჯვრის გარდასახვით?

- გამოვხატავთ უფლისადმი რწმენასა და იმედს. თავისთავად ხელის წყობა ვერაფერს იზამს, თუ მას გულმხურვალე რწმენა არ ახლავს. გულმოდგინებით გამოვწეროთ იგი სახლზე, კედლებზე, სარკმელზე, შუბლზე და გონებაზე, რადგანაც ის არის ნიშანი ჩვენი ზოგადი ხსნისა და განთავისუფლებისა, აგრეთვე უფლისმიერი გულკეთილობისა... ასე რომ, რაჟამს პირჯვარს იწერ, გაიაზრე ჯვრის არსი, დაშრიტე შენში სიფიცხე და ყველა სხვა ვნება. რაჟამს პირჯვარს იწერ, ფრიადი მხნეობით აღივსე შუბლი და გაათავისუფლე სული. თუკი ამგვარად გარდაისახავ მას შენს პირისახეზე, ვერავითარი უწმინდური ეშმაკი ვერ შეძლებს შენს ახლოს დგომას, რადგანაც იხილავს იგი (ეშმაკი) მახვილს, რომელიც განგმირავს მას, იხილავს ხანჯალს, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრის". უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ნაბიჯი დავბეჭდოთ ჯვრით. რწმენის არ უნდა შეგვრცხვეს, სირცხვილი ეშმაკისადმი მსახურება იქნება. ადამიანს საკუთარი თავის დაცვა ნებისმიერ ფასად ევალება: „ნებისმიერ ფასში“ - იგულისხმება სიწმინდით აღჭურვა... ჩვენი საჭურველი კი ჯვარია.

- ეკლესიაში შესვლისას ზოგმა რა იცის, რამდენი სანთელი უნდა დაანთოს. ზოგი ერთ სანთელკს ანთებს, ზოგს ჰგონია, რაც მეტს დაანთებს, მით უკეთესი. ზოგს ჰგონია აუცილებლად კენტი უნდა იყიიდოს, ზოგს - ლუწი. სინამდვილეში რამდენი სანთელი უნდა დაანთო ეკლესიაში?

- შინაგანად რისი სურვილიც გვაქვს, ის უნდა შევთხოვოთ უფალს და ამისთვის შესაძლოა 1 ცალი სანთელიც გვეყოს, რაოდენობა არ განსაზღვრავს სულიერ ხარისხს. სანთელი ერთგვარი ძღვენია უფლისადმი შეწირული, ამით გამოვხატავთ ჩვენი ლოცვისადმი მხურვალებას და გულანთებულობას.

- მიცვალებულისთვისაც იმ ხატთან ვანთებთ სანთელს, სადაც ცოცხლისთვის?

- ნებისმიერ ხატთან შეგვიძლია დავანთოთ, მაგრამ ჯვარცმასთან ვანთებთ, ვინაიდან ჯვარცმულმა, გვემულმა და მკვდრეთით აღდგომილმა უფალმა ჩვენი მიცვალებულიც საუკუნო ნეტარებისთვის აღადგინოს.

თეა ცაგურიშვილი
http://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/6002-shecdoma-pirjvris-tserisas-da-ramdeni-santheli-unda-daanthoth-eklesiashi.html

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: **404511658**
რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***